პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ხუთშაბათი,
27
ივნისი
1935 წ.
№ 148 (4304)

დღეს ნომერში

— ნამდვილი ორგანიზებულობისა და შეტევითი სიფხიზლისათვის (მეთაური).
— კომუნიზმი და კულტურა („პრავდის“ მეთაური, მე-2 გვ.).
— ტფილისის პარტაქტივის კრება (მე-2 გვ.).
— კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესი (მე-2 გვ.).
— პარკის დამზადების გეგმა შეასრულეს მახარაძის და ჩხოროწყუს რაიონებმა.
— სალიბაურის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა ჩაის კრეფის ორი თვის გეგმა.
— რესპუბლიკური თათბირი მეთამბაქოობის საკითხზე.
— 30 წლის წინათ (მე-3 გვ.).
— იდენის მოლაპარაკება მუსოლინთან.
— სამხრეთ-სლავიის ახალი მთავრობა.
— „გორკის დღე“ პარიზში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილი ორგანიზებულობისა და შეტევითი სიფხიზლისათვის

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა მიხედვით უკანასკნელ ხანს პარტიულ-ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. ეს ნათელჰყო ამას წინათ გამართულმა რაიონული პარტაქტივების, განსაკუთრებით კი 23—24 ივნისს ტფილისის პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების განსახილველად შეიკრიბა.

ტფილისის პარტიული აქტივის კრება ორ დღეს გაგრძელდა და ისე ჩაიარა, როგორც ამას მიგვითითებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. 17 დეკემბრის დადგენილება.

ჩაიარა არა ფორმალურად, არამედ საქმიანად, მაღალი იდეური დონითა და დიდი აქტივობით.

აქტივმა ყოველმხრივად და გულდასმით განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების, საკავშირო ცაკის სამდივნოს მომსახურე აპარატისა და ა. ენუქიძის შესახებ. მან არა თუ ერთსულოვნად და სავსებით მოიწონა ეს გადაწყვეტილებანი. არამედ თავისთვის პრაქტიკული დასკვნები გამოიტანა.

პარტიული აქტივის კრებამ ცხადყო, რომ იგი მონოლიტურია და ერთსულოვნად არის დარაზმული ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ირგვლივ.

ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებას მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების შესახებ უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სოფლად საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრების მიღწევისათვის, იმისათვის, რომ ჩვენი მრეწველობა უზრუნველვყოთ ნედლეულით, მუშათა კლასი რიგიანად მოვამარაგოთ და ვკვებოთ, განვამტკიცოთ ჩვენი თავდაცვა და ძლიერება.

სტალინური პოლიტიკის მტკიცე გატარებით პარტია ყოველწლიურად ახალსა და ახალ გამარჯვებებს აღწევს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის, კულაკობის განადგურებისა და საკოლმეურნეო წყობას განმტკიცების საქმეში.

სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების განხორციელების საფუძველზე მტკიცდება და იზრდება კოლმეურნეობები, კოლმეურნე მასების აქტიობის, შეგნებულობისა და ორგანიზებულობის უდიდესი ზრდის შედეგად 1935 წელს საგაზაფხულო სამეურნეო კამპანიამ კარგად ჩაიარა, ვადაზე ადრე და უკეთესი ხარისხით ჩაიარა თესვამ. საკოლმეურნეო მინდვრებისა და პლანტაციების მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ახლა ამოცანა ისაა, რომ ნათესების დამუშავება, მოსავლის აღება და სას.-სამ. პროდუქტების დამზადება ჩავატაროთ ისე ორგანიზებულად და ბოლშევიკურად, როგორც საგაზაფხულო თესვა.

ამხ. ლ. ბერია თავის მოხსენებაში, რომელიც ჩვენს გაზეთში გუშინ დაიბეჭდა, გვისახავს მთელ ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ბოლშევიკურ პროგრამას, რომლის პრაქტიკულად განხორციელებამ უნდა უზრუნველჰყოს ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება.

წელს საქართველოს რესპუბლიკის წინაშე დგას ამოცანა დაამზადოს პური — 1.285 ათასი ფუთი (საბჭოთა მეურნეობებში — 56 ათასი ფუთი), ბამბა—4.700 ტონა, ჩაი — 12.347 ათასი კილოგრამი, თამბაქო — 12.570 ტონა (აფხაზეთთან ერთად), ჭარხალი — 45.300 ტონა, მანდარინი — 150 მილიონი ცალი, ხილი 20.650 ტონა, ყურძენი 27.506 ტონა.

ეს ვალდებულება პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე დროზე უნდა შევასრულოთ. გეგმა რეალურია, საჭიროა მხოლოდ დამუშავების და აღების უდანაკარგოდ და რიგიანად ჩატარება.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რიგიანად მოაწყონ შრომა კოლმეურნეობებში, დროზე დაამთავრონ სას.-სამ. მანქანა-იარაღები, შეკეთება, უზრუნველჰყონ კადრების შერჩევა და განაწილება, რათა როგორც ორდენოსანი რესპუბლიკა, საქართველო წელსაც მოწინავედ გამოვიდეს ყოველგვარი დავალების შესრულების და კოლმეურნეობების კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში.

ჩვენ ყოველგვარი შესაძლებლობა გვაქვს იმისათვის, რომ დროზე და მთლიანად შევასრულოთ დამზადების ყველა გეგმა, მაგრამ ზოგან გეგმის შესრულებისათვის საჭირო პირობებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მაგ., სას.-სამ. მანქანა-იარაღების შეკეთება და მომზადება მოსავლის აღებისათვის დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს, აიღეთ ჩაის კრეფა. ზოგიერთ რაიონში ჩაის კრეფა დროზე და მაღალხარისხოვნად ვერ მიმდინარეობს. რაიონის პარტიულ აქტივის კრებებმა, რომლებიც ამ დღეებში შეიკრიბება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგების განსახილველად, რაიონის ორგანიზაციების მთელი ყურადღება მოსავლის აღებისა და დამზადებისთვის უნდა გაამახვილოს.

კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბოლშევიკური სიფხიზლე, ნუ დავინდობთ პარტიისა და ქვეყნის მტრებს — ასეთი დასკვნა გამოიტანა ტფილისის აქტივმა საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის პლენუმის მეორე საკითხის საკავშირო ცაკის მომსახურე აპარატისა და ა. ენუქიძის საკითხის გამო. აქტივმა ერთსულოვნად და სავსებით მოიწონა პლენუმის გადაწყვეტილება პოლიტიკურად და ყოფაცხოვრებით გახრწნილ, გადაგვარებულ ენუქიძის შესახებ.

ენუქიძე, რომელმაც საკ. ცაკის სამდივნოს აპარატში თავი მოუყარა კლასობრივად უცხო ელემენტებსა და დახმარებას უწევდა მუშათა კლასის მოსისხლე მტრებს, პარტიის მოღალატე, სამშობლოს მოღალატე აღმოჩნდა. ამისათვის მან დამსახურებული სასჯელი მიიღო.

ლენინური-სტალინური პარტია ძლიერია მით, რომ იგი არ ინდობს არავის, როდესაც ვინმე ღალატობს პარტიის და სოციალისტური რევოლუციის ინტერესებს. იგი წმენდს თავის რიგებს, იშორებს ყველას, ვინც თავის პირად ინტერესებს პარტიის და პროლეტარული სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა აყენებს, ყველას ვინც იფლობა გადაგვარებისა და გახრწნილების ჭაობში.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ენუქიძის საქმიდან?

ჩვენ კიდევ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ ყოველი კომუნისტის შეტევითი რევოლუციური სიფხიზლე, „რომელიც განსაკუთრებით აუცილებელია ახლა ბოლშევიკისათვის“ (სტალინი).

„უნდა ითქვას, — ამბობდა ამხ. ლ. ბერია ტფილისის პარტაქტივის კრებაზე, — რომ ჩვენში, ამიერკავკასიასა და საქართველოში არის ადამიანების ისეთი კატეგორია, რომელიც წინააღმდეგი არ არის გაითქვას „გულკეთილის“, „კეთილი ძის“ სახელი, არ არის წინააღმდეგი გასცეს სახელმწიფოს ხარჯზე დახმარება, საგზური, გაუწიოს მატერიალური დახმარება, მოუწყოს პროტექცია, მოაწყოს სამსახურში შეუმოწმებლად [illegible]

ჩვენ გვყავნან მუშაკები, რომლებიც ხანდახან წინააღმდეგი არ არიან იშუამდგომლონ ჩვენი საბჭოთა სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულთათვის, იმ პირთათვის, რომლებსაც კონტრრევოლუციური საქმეების გამო ასახლებენ, დაეხმარონ უცხო ელემენტებს პასპორტის მიღებაში.

ეს კომუნისტები ივიწყებენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამხ. სტალინის მითითებას სიფხიზლის შესახებ. ისინი ივიწყებენ, რომ ჩვენი გულკეთილობა კლასობრივი გულკეთილობაა, ისეთი გულკეთილობა, რომელიც სასარგებლო უნდა იყოს პროლეტარული სახელმწიფოსათვის და არა საზარალო, ეს არის გულკეთილობა, რომელიც არ ინდობს მუშათა კლასის მტრებს“.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების გამობრძმედილი ხელმძღვანელის ეს მითითება უნდა გადაიქცეს ყოველი პარტიული ორგანიზაციისა და კომუნისტის სახელმძღვანელო პრაქტიკულ პროგრამად ბოლშევიკური პრინციპულობისათვის ბრძოლაში კლასობრივი მტრების მიმართ ყოველგვარი ლიბერალიზმისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში.

ყოველდღიურ ცხოვრებასა და მუშაობაში უნდა განვახორციელოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც გამომდინარეობენ სტალინის მიერ სიფხიზლის შესახებ მოცემული მითითებიდან. „თვითეული ბოლშევიკის სიფხიზლე უნდა იყოს შეტევითი სიფხიზლე“ (ლ. ბერია), რათა არა მარტო ვამხილოთ, არამედ გავანადგუროთ კლასობრივი მტრები და მათი აგენტები.

ბოლშევიკური სიფხიზლე — ეს სისხლსა და ხორცში უნდა ჰქონდეს გამჯდარი ყოველ კომუნისტს, კომკავშირელსა და პატიოსან მშრომელს. მისი რეალიზაცია უნდა ხდებოდეს ყოველ საქმეში, ყველგან და ყოველთვის.

კიდევ უფრო მეტად შევამჭიდროვოთ ბოლშევიკური პარტიის რიგები საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო.

არავითარი ამპარტავნობა, არავითარი თვითდამშვიდება მიღწეული წარმატებების გამო! გავაძლიეროთ სიფხიზლე კლასობრივი მტრისა და მისი აგენტურის ხრიკების წინააღმდეგ—აი კიდევ და კიდევ საითკენ მოგვიწოდებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ჩაის კრეფა

სალიბაურმა შეასრულა გეგმა

ბათომი, 26 ივნისი. სალიბაურის საბჭოთა მეურნეობამ შრომის მოწესრიგებით და სოცშეჯიბრების გაშლით ჩაის კრეფის მაისის და ივნისის გეგმა **20 ივნისისათვის** (ჩათვლით) **100,6** პროცენტით შეასრულა,—მოკრეფილია **62.216** კილოგრამი ფოთოლი.

მოკრეფილი ჩაის 92 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

კრეფა გაცხოველებული ტემპებით მიმდინარეობს. 25 ივნისამდე დამატებით მოკრეფილია 8427,9 კილოგრამი ფოთოლი.

სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი
ლორთქიფანიძე.
პარტკომი — კანდელაკი.
მუშკომი — შავიშვილი.

იდენის მოლაპარაკება მუსოლინთან

იტალია ერთა ლიგიდან გასვლით იმუქრება

რომი, 24 ივნისი. გავრცელდა ხმები - იტალია მზად არის ულტიმატურად მოითხოვოს აბისინიაში თავის პრეტენზიების დაკმაყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთა ლიგიდან გასვლით იმუქრებაო. ამ ხმებს ახლა ოფიციალურად ადასტურებს სტატია, რომელიც გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომ „აფარი ესტერიში“. ჟურნალი მკაცრად აკრიტიკებს, ერთა ლიგის წესდებას. მისი სიტყვით, ეს წესდება წარმოადგენს „რკინის კორსეტს, რომელიც ზღუდავს ლიგის წევრთა საქმიანობას“.

ახლა, — აცხადებს ჟურნალი,— იაპონიასთან და გერმანიასთან ერთად, ერთა ლიგიდან გასვლას აპირებს იტალიაც. სავსებით ცხადია, რომ თუ კიდევ ერთი დიდი ევროპული სახელმწიფო დასტოვებს ჟენევას, ერთა ლიგა ჩაკვდება. ეს, — განაგრძობს ჟურნალი, არის ფაქტების აღნიშვნა, და არა ლიგაზე ზეგავლენის მოხდენის ცდა. ჟენევის ინსტიტუტს შეუძლია ფორმალურად იარსებოს, მაგრამ მისი არსებობის აზრი და მისი შესაძლებლობა გაქრება. ჟურნალი დაწვრილებით ჩერდება ერთა ლიგის წესდებასა და მისი შექმნის ისტორიაზე. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მდგომარეობა სულ სხვანაირი იქნებოდა, ერთა ლიგა რომ სხვანაირად მოპყრობოდა იმ პუნქტს, რომელიც ხელშეკრულებათა რევიზიას ითვალისწინებს. მთელი ეს მსჯელობა თავდება სავსებით გარკვეული მითითებით: იტალიას შეუძლია ერთალიგაში დარჩეს, თუ ლიგა მას აბისინიის მიმართ პროტექტორატს მიანიჭებსო (ადს).

იაპონიის სამხედრო ატაშე ტაკახასი იმუქრება

ბეიპინი, 25 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან ინტერვიუში იაპონიის სამხედრო ატაშემ ბეიპინში ტაკახასიმ დაადასტურა ცნობა, რომ გუშინ ჩინეთის ხელისუფლებასა და იაპონიის სარდლობას შორის დაიწყო მოლაპარაკება ჩახარის საკითხზე.

ჩინეთის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებენ ჩახარის ახალი გუბერნატორი ცინ დე-შუნი და ბეიპინის პოლიტიკური საბჭოს წევრი ჩენ კე-[illegible] და მაჩუ. ტაკახასიმ თავი აარიდა პასუხის გაცემას კითხვაზე — თუ რა მოთხოვნები წამოაყენა იაპონიამ მოლაპარაკების დროს, აღნიშნა მხოლოდ—ეს არის ჩვეულებრივი მოთხოვნა, რომ „ანტი-იაპონური საქმიანობა ჩახარში მთლიანად შესწყვიტონო“.

იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ ტაკახასიმ განაცხადა შემდეგი:

„ჩვენ ვცდილობთ მთლიანად მოვსპოთ ანტიიაპონური საქმიანობა და ანტიიაპონური გრძნობები მთელ ჩინეთში, თუ ნანკინის მთავრობა ამას არ შეასრულებს, ჩვენ მას მოვსდრეკთ“.

რომი, 24 ივნისი. როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, მუსოლინიმ მიიღო იდენი ვენეციურ სასახლეში. საუბარმა, რომელსაც გულითადი ხასიათი ჰქონდა, დაახლოებით ორ საათს გასტანა. (ადს).

რომი, 24 ივნისი. დღეს იდენი რამდენჯერმე ესაუბრა იტალიის მთავრობის მეთაურს მუსოლინის.

გამოქვეყნებულ სპეციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებისა და საჰაერო პაქტის პროექტის გარდა განხილულ იქნა აგრეთვე საფრანგეთ-ინგლისის 3 თებერვლის დეკლარაციაში აღძრული ზოგიერთი საკითხი.

ზოგიერთი ცნობის მიხედვით, საუბარი ეხებოდა აღმოსავლეთის პაქტს; იტალიის წარმომადგენელმა ნაკლები ინტერესი გამოიჩინა ამ პრობლემისადმი“. ინგლისის წარმომადგენელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მოლაპარაკებაში საზღვაო შეთანხმების საკითხს იტალიის მთავრობა პირველ რიგში არ წამოსწევს.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ, თუმცა ოფიციალურ ცნობაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იტალია-აბისინიის კონფლიქტზე, მაინც სწორედ ეს საკითხი წარმოადგენდა განხილვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საგანს.

იუწყებიან, რომ რომში საიდუმლოდ ჩავიდა ინგლისელი მოხელე ტომპსონი — აფრიკის საკითხთა სპეციალისტი.

მოლაპარაკებაში ტომპსონიც მიიღებს მონაწილეობას.

ზოგიერთი ცნობით, ინგლისი მზადაა ერთგვარ დათმობებზე წავიდეს იმ საკითხებში, რომლებიც ეხება იტალია-აბისინიის კონფლიქტს. (ადს).

* * *

ინგლისის პასუხი საფრანგეთის ნოტაზე

პარიზი, 25 ივნისი. როგორც საქმესთან კარგად გაცნობილ პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკობენ, საფრანგეთს უკვე მიუღია ინგლისისგან მოკლე პასუხი 17 ივნისის თავის ნოტაზე.

ინგლისის საპასუხო ნოტა ხაზს უსვამს შემდეგს: საზღვაო კონფერენცია მიზანშეწონილი მაშინ იქნება, თუ მას მოვიწვევთ მანამ, სანამ ვაშინგტონის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდოდეს. წინააღმდეგ ზოგიერთი ცნობისა, ნოტა არ შეიცავს საფრანგეთის ექსპერტების [illegible]ლების მისაღებად. (ადს).

* * *

„გორკის დღე“ პარიზში

პარიზი, 25 ივნისი. პარიზის გარეუბნის ვილჟიუიფის კომუნისტურმა მუნიციპალიტეტმა მწერალთა კონგრესის დელეგატები მიიწვია „გორკის დღის“ დღესასწაულზე, რომელიც 30 ივნისს გაიმართება. დელეგატები ინახულებენ მუნიციპალიტეტის მიერ აგებულ სანიმუშო სკოლას, სტადიონზე სახალხო დღესასწაული გაიმართება. მოხდება ახალი ქუჩის — „გორკის ავენიუს“ საზეიმო გახსნა.

ხიროტას სამი „პრინციპი“

ტოკიო, 24 ივნისი. „იომიური“ აღნიშნავს, რომ ჩინეთის ელჩის ჩან ძო-პინის ხიროტასთან უკანასკნელი შეხვედრის დროს ხიროტამ ჩან ძო-პინს გააცნო „მთელი რიგი პრინციპები“, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობის „გაუმჯობესებას“.

ჯერ ერთი, ჩინეთმა უნდა აღმოფხვრას ანტიიაპონური მოძრაობა,— რითაც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი, — მოაწესრიგოს იაპონიის მიმართ თავისი ძველი ვალების საკითხი, გადაჭრას პირდაპირი საავიაციო კავშირის, შემოსაზიდი ტარიფებისა და სხვ. საკითხები.

მეორე, ჩინეთმა ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმაროს თავისი ფინანსური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ, თუ ნანკინის მთავრობა წარმოადგენს სათანადო გარანტიებს, იაპონია მზადაა მისცეს ჩინეთს სესხი სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად.

მესამე, აღმოსავლეთ აზიაში მუდმივი მშვიდობიანობის დამყარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს „ჩინური რასის პოლიტიკური ემანსიპაცია თეთრების ბორკილებისაგან“. იაპონიას სურს ინიციატივა გამოიჩინოს ჩინეთში ექსტერიტორიალობის გაუქმებისა და ყველა უთანასწორო ხელშეკრულების ლიკვიდაციის საქმეში, 9 სახელმწიფოს პაქტის ჩათვლით. სამაგიეროდ ჩინეთმა უნდა იცნოს მანჯოუ-გო.

ჩან ძო-პინი, „იომიურის“ სიტყვით, ხიროტას ამ პრინციპებს ნანკინის მთავრობას გადასცემს ჩინეთში გამგზავრებამდე. (ადს).

დეპუტატთა პალატის საზღვაო კომისიის რეზოლუცია

პარიზი, 25 ივნისი. ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, დეპუტატთა პალატის საზღვაო კომისიამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია: ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმება აუქმებს ვერსალის ხელშეკრულების დებულებებს საზღვაო შეიარაღების შესახებ. კომისია სთვლის, ნათქვამია რეზოლუციაში, რომ ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმების გამო საფრანგეთს აქვს მოქმედების სრული თავისუფლება საზღვაო შეიარაღების დარგში ახალ შეთანხმებათა [illegible] მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რათა უზრუნველყოს საფრანგეთის საზღვაო შეიარაღება ისეთი ოდენობით, რომელიც მისი უშიშროების უზრუნველყოფის მოთხოვნებს შეეფერება (ადს).

გრანდიოზული ხანძარი ქალაქ პეშევარში

მოსკოვი, 25 ივნისი. უდიდესმა ხანძარმა ქალაქ პეშევარში (ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის სანაპირო პროვინცია) მოსპო 2.000 მეტი სახლი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

მოსავლის მასობრივი აღება აზერბეიჯანში. ასტრახან-ბაზარსკის მტს-მა 5 ივნისს დაიწყო ქერის აღება. სურათზე, — კომბაინი: ამხ. ივანოვას ბრიგადა სტალინის სახ. კოლმეურნეობაში მოსავლის აღებაზე.

□ □ □ □ □ □ □ □ □ □ □

საბჭოთა დაღესტნის ხალხთა დღესასწაული

მახაჩ-კალა, 24 ივნისი. უზარმაზარ ბანაკად გაშლილა 15 ათასი მთიელი, რომელნიც წუხელის ჩამოსულან თავისი რესპუბლიკის 15 წლისთავის დღესასწაულზე. დილისთვის დაახლოვებით 80 ათასმა კაცმა მოიყარა თავი.

შუა დღის 12 საათზე იხსნება საზეიმო მიტინგი. დაღესტნის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. დოლგატმა რესპუბლიკის მშრომელებს დიადი დღესასწაული მიულოცა.

მისალმებით გამოდის პარტიის ჩრდილოეთ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ევდოკიმოვი. კითხულობენ ამხ. კალინინის და ვოროშილოვის მისასალმებელ დეპეშას.

მოედანს თავს დასტრიალებენ თვითმფრინავები, ერთიდან ჩამოხტა პარაშუტისტი, რომელმაც ტრიბუნაზე მიიტანა ამხ. ბუდიონის, ეიდემანის და უნშლიხტის მისალმება დაღესტნის ხალხებისადმი.

შორეული ბურიატ-მონღოლეთისაგან მისალმებას ამბობს პარტიის ოლქკომის მდივანი ამხ. ერბანოვი, ორდენოსანი საქართველოს სახელით მოძმე რესპუბლიკას სალამს უძღვნის პროფ. ნუცუბიძე. მისალმებებით გამოდიან აგრეთვე ამიერ-კავკასიის ფედერაციის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის და ოსეთის დელეგატები.

მიტინგის მონაწილენი განსაკუთრებული ენტუზიაზმით ღებულობენ გადაწყვეტილებას, რომ მისალმება გაეგზავნოს ამხ. სტალინს, მთელი მშრომელი კაცობრიობის საყვარელ მასწავლებელსა და მეგობარს, იმას, ვინც დაღესტნის ავტონომია გამოაცხადა, ვისი სახელიც შორეული მთების ყოველი მცხოვრებისათვის ძვირფასი და მახლობელი გახდა.

დაღესტნის 15 წლისთავის ზეიმობა სამ დღეს გასტანს.

სტრატოსტატ „სსრ ქ-1-ბისის“ გაფრენა.

მოსკოვი, 26 ივნისი. „პრავდა“ იტყობინება: 26 ივნისს, 5 საათსა და 25 წუთზე, № საჰაეროსნო ნაწილის აეროდრომიდან გაფრინდა სტრატოსტატი „სსრ ქ-1-ბისი“.

როცა სტრატოსტატის კაბინი მიწას მოსწყდა, მაშინვე სტრატის მეთაურმა გ. პროკოფიევმა გასცა ბრძანება: „ფრენა“.

სტრატოსტატ „სსრ-ქ-1-ბისის“ მეთაურმა ზილემ გამოიხედა კაბინის სარკმლიდან და უპასუხა: „ფრენა“.

სტრატოსტატი ნელნელა აფრინდა და ცისაკენ გაქრა.

6 საათსა და 50 წუთზე სტრატოსტატმა მიაღწია 15.900 მეტრის სიმაღლეს.

მოსკოვი, 26 ივნისი. სტრატოსტატი „სსრ ქ-1-ბის“ 26 ივნისს, დაახლოებით დილის 8 საათზე, უვნებლად დაეშვა ქ. ტულიდან 20 კილომეტრის მანძილზე (ადს).

რომენ როლანი მოსკოვში

მოსკოვი, 25 ივნისი. საფრანგეთის დიდმა მწერალმა **რომენ როლანმა**, რომელიც მოსკოვში იმყოფება და მისმა მეუღლემ მარიამ პავლეს ასულმა, 24 ივნისს დაათვალიერეს კრემლი.

აქ სტუმრები გაეცნენ კრემლის მდებარეობას და მის ღირსშესანიშნავ ადგილებს (ძველებურ შენობებს, „მეფე-ზარბაზანს“, „მეფე-ზარს“), რის შემდეგ ეწვიენენ სახელმწიფო იარაღის პალატას. ექსპონატების დათვალიერების შემდეგ პალატის დირექტორი **მინახტინი** მიესალმა მწერალს, როგორც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მეგობარს. ამ მისალმებაზე რომენ როლანმა უპასუხა:

„თქვენი სამშობლო ჩემი სამშობლოც არის“.

კრემლიდან გამგზავრების წინ რომენ როლანმა და მისმა თანამგზავრებმა დაათვალიერეს კრემლის დიდი სასახლე.

რომენ როლანმა გამოსთქვა სურვილი ენახა საბჭოთა კინემატოგრაფიის შედევრი ფილმი „ჩაპაევი“, რის გამო 25 ივნისს, დილით, უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების კინოდარბაზში სპეციალურად იქნა ნაჩვენები ეს ფილმი.

სურათის ჩვენებას დაესწრნენ რომენ როლანი და მისი მეუღლე, უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე ა. აროსევი და კულტურული კავშირის საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები.

25 ივნისს რომენ როლანი ეწვია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დიდ აკადემიურ თეატრს, სადაც დაესწრო ბალეტს „ბახჩისარაის შადრევანს“, რომელიც დადგა ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრმა.

თეატრთან შეკრებილი მაყურებლები, რომლებმაც იცნეს გამოჩენილი მწერალი, საბჭოთა კავშირის მეგობარი, ერთსულოვანი ტაშით მიესალმნენ მას. ტაში ფოიეშიც გრძელდებოდა. როცა რომენ როლანი ფოიეში გამოჩნდა, დარბაზში მყოფი საზოგადოება მას მქუხარე ტაშით მიესალმა. (ადს).

დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობის დამყარება

საბჭოთა კავშირსა და კოლუმბიას შორის

რომი, 25 ივნისი. დღეს რომში სსრ კავშირის სრულუფლებიან საელჩოს შენობაში სსრ კავშირის სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიაში ამხ. შტეინმა და კოლუმბიის ელჩმა იტალიაში ბატონმა ტურბაიმ ნოტები გასცვალეს საბჭოთა კავშირსა და კოლუმბიას შორის ნორმალური დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობის დამყარების შესახებ.

(კოლუმბია არის რესპუბლიკა, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. 1926 წლის აღწერით, მისი მოსახლეობა შეადგენდა 7,3 მილიონ კაცს). (ადს).

შეთანხმება ჩახარის შესახებ

შანხაი, 25 ივნისი. სინბუნრენგოს სააგენტოს გადმოცემით, შეთანხმება ჩახარის შესახებ მოსაწონებლად გაეგზავნა ნანკინის მთავრობას. გუშინ იაპონიის სამხედრო ატაშემ ბეიპინში ტაკახასიმ განაცხადა: გენერალ დოიხარის შემდგომი მოლაპარაკება ცინ-დე-შუნთან საჭირო აღარ არის, რადგან მხარეთა შორის ყველა ძირითად საკითხში მიღწეულია სრული შეთანხმებაო.

შეთანხმების შინაარს უაღრესად საიდუმლოთ ინახავენ. ყველა საბუთის მიხედვით, ახალი ხელშეკრულება გამოქვეყნებულ პუნქტებზე უფრო მეტ საიდუმლო პუნქტებს შეიცავს. ამას ადასტურებს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც სწერს გარდა სინბუნ[illegible]ბისა, გუშინ გამოირკვა, რომ არის კიდევ ორი პარაგრაფი — მთელ აღმოსავლეთ ჩახარში დემილიტარიზებული ზონის შექმნის და კალგანში იაპონიის აეროდრომის აგების შესახებ.

ჩრდილოეთ ჩინეთში „იაპონელ ტურისტების“ მოძლიერებასა და იაპონელი მილიტარისტების აქტივობასთან ერთად, ჩინური გაზეთები აღნიშნავენ იაპონიის მიერ მიღებულ მთელ რიგ ეკონომიურ ღონისძიებებს. გომინის სააგენტოს გადმოცემით, ბეიპინში დაარსდა სამი რკინისგზის - ბეიპინ - მუკდენის, ბეიპინ - სუიუანის და ბეიპინ-ხანკოუს გზების - გაერთიანებული კონტორა, რომელიც მიზნად ისახავს მანჯურიასთან პირდაპირი მიმოსვლის ორგანიზაციას ამ გზებით. გარდა ამისა, უკანასკნელ დღეებში [illegible] დასამუშავებლად ჩრდილოეთ ჩინეთში.

სამხრეთ-სლავიის ახალი მთავრობა

ვენა, 25 ივნისი. სამხრეთსლავიიდან მიღებული ცნობით, გუშინ სტოიადინოვიჩმა შეადგინა სამხრეთსლავიის ახალი მთავრობა. მთავარი პორტფელები განაწილებულია შემდეგნაირად:

პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი — სტოიადინოვიჩი;
სამხედრო და საზღვაო მინისტრი— გენერალი ჟივკოვიჩი;
შინაგან საქმეთა მინისტრი — კოროშეცი;
გზათა მინისტრი — სპახო;
ფინანსთა მინისტრი — ლეტიცა;
მიწათმოქმედების მინისტრი — სტანკოვიჩი;
ვაჭრობის მინისტრი — ვრბანიჩი.

მთავრობის ნაციონალური შემადგენლობა ასეთია: 9 სარბიელი, 3 ხორვატელი, 1 სლოვენელი და 2 ბოსნიელი თურქი.

პოლიტიკურ წრეებში სამხრეთსლავიის ახალი კაბინეტი ფართო კონცენტრაციის გარდამავალ მთავრობად მიაჩნიათ, რომლის მიზანია შინაპოლიტიკური დამშვიდება, კერძოთ ხორვატელთა ოპოზიციასთან შერიგება, აგრეთვე შემოდგომისთვის დასახული ახალი არჩევნების მომზადება.

ახალმა პრემიერმა სტოიადინოვიჩმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „შინაპოლიტიკური დამშვიდების გარდა, რაც მთავრობის მთავარი მიზანია“, მისი ამოცანაა აგრეთვე „სამხრეთსლავიის წინანდელი საგარეო-პოლიტიკური ხაზის, განსაკუთრებით მცირე და ბალკანეთის ანტანტებთან ტრადიციული თანამშრომლობის უცვლელი სახით განხორციელება და საფრანგეთთან ტრადიციული მეგობრობის შენარჩუნება“ (ადს).

პარკის დამზადება

გეგმა შეასრულეს მახარაძისა და ჩხოროწყუს რაიონებმა

მახარაძე, 26 ივნისი. რაიონმა 26 ივნისისათვის დაამზადა **149.500** კილოგრამი პარკი, გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა.

დამზადება გრძელდება. რაიონის მშრომელებმა ეს მიღწევა მოიპოვეს პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობითა და დახმარებით.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი — კილაძე.
რაიაღმასკომი—გოგუაძე.
რაიაბრეშუმი — ოსიპოვი.

⁂

ჩხოროწყუ, 26 ივნისი. რაიონმა პარკის დამზადების გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულა. სახელმწიფოს ჩავაბარეთ 91.290 კილოგრამი პარკი.

დამზადება გრძელდება. ვიბრძვით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებლად — პარკის მთელი მოსავლის ჩასაბარებლად.

საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი მონიავა.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე ჯიქია.
რაიაბრეშუმის გამგე—ბაძაღუა.

თათბირი მეთამბაქოების საკითხზე

საქ. მიწსახკომში მესამე დღეა მიმდინარეობს რესპუბლიკური თათბირი მეთამბაქოობის საკითხებზე.

თათბირში მონაწილეობენ მეთამბაქოობის რაიონთა მტს-ის დირექტორები, უფროსი აგრონომები, მიწგანის გამგეები. სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენლები და რესპუბლიკის მეთამბაქოე სპეციალისტები.

დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: თამბაქოს გადარგვის მექანიზაცია ლაგოდეხის რაიონში და მომავალი ამოცანები; შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში და მეთამბაქოობის კოლმეურნეობებში თესლბრუნვის გავრცელება.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ლაგოდეხის მტს-ის დირექტორი ამხ. **პივნიევი**, ხოლო თანამომხსენებლებად—უფ. აგრონომი ამხ. **სარუხანოვი** და ლაგოდეხის მეთამბაქოობის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **სეფერთელაძე**.

გუშინდელ დილისა და საღამოს სხდომაზე დამთავრდა დანარჩენი მოხსენებები და გაიმართა გაცხოველებული კამათი მათ გარშემო.

თათბირი დღეს მოათავებს მუშაობას და შეიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს თამბაქოს უხვი მოსავლის მისაღებად.

თათბირს ხელმძღვანელობს საქ. მიწსახკომის მეთამბაქოობის სამმართველოს უფროსი ამხ. **მიქელოვი**.

კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესი

მწერალისა და მკითხველის ურთიერთობის პრობლემა

პარიზი, 25 ივნისი. კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესი შეუდგა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას. „შემოქმედება და ადამიანთა საზოგადოება“.

ფრანგმა მწერალმა ჟან რიშარ ბლოკმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის შესახებ.

მან ხაზგასმით აღნიშნა განსხვავება, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირის მწერლისა და ბურჟუაზიული ქვეყნების მწერლის შემოქმედების პირობებს შორის.

ბლოკმა განაცხადა, რომ ფრანგი მწერლების ახლანდელმა თაობამ კავშირი დაჰკარგა ხალხთა მასებთან.

კონგრესმა ბლოკს ოვაცია გაუმართა.

გერმანელმა მწერალმა ალფრედ კერმა, რომელიც ფაშიზმის მიერ განდევნილია გერმანიიდან, უამბო კონგრესს, თუ რა დევნას განიცდიან გერმანელი ემიგრანტი მწერლები.

ტაშით და მისალმებით შეხვდა კონგრესი საბჭოთა დელეგატის პანფეროვის გამოსვლას.

— უდიდესი მწერლები, აგვიწერდნენ გლეხობის ცხოვრებას. მაგრამ ამ უდიდეს ნაწარმოებებში არ იყო ნაჩვენები გამოსავალი სიღატაკიდან და მონობიდან, რომელშიც ვაივაგლახობდა გლეხობა. ეს გამოსავალი—ნაპოვნია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ამბავი მოხდა, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 180 მილიონმა მცხოვრებმა თვალზე ბინდი მოიშორა, უკუაგდო ყოველგვარი ძველი ცრუ რწმენა და გაერთიანდა ერთ ოჯახად.

ინგლისელმა მწერალმა ჯონ სტრეჩიმ ილაპარაკა იმაზე, თუ რა საშინლად აღორძინდა ბარბაროსობა მსოფლიოს ქვეყნების ნახევარში. ფაშისტურ იაპონიაში წარმოიშვა ახალი დანაშაული —„აზროვნების საშიშროება“.

„პიროვნების პრობლემა“

პარიზი, 23 ივნისი. კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესის გუშინდელ საღამოს სხდომაზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა დელეგატმა მიხეილ კოლცოვმა, რომელსაც დამსწრენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

კონგრესი გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე: „პიროვნების პრობლემა“.

„მე ვაცხადებ,—სთქვა თავის სიტყვაში ანდრე ჟიდმა,—რომ კულტურის მტრები არიან ფაშისტები-ჰიტლერელები და ჩემი ქვეყნის ნაციონალისტები“.

ანდრე ჟიდი ამბობს, რომ ბურჟუაზიას მოელის დაღუპვა და განადგურება. კაპიტალიზმი კვდება და იხრწნება და თავისი გახრწნით იგი ავადებს თავის კულტურას და ლიტერატურას. ორატორმა მოუწოდა მწერლებს მიაპყრონ თვალნი ერთად-ერთ ქვეყანას, რომელსაც ახალი იდეები მოაქვს მსოფლიოსათვის.

კონგრესმა უდიდესი ყურადღებით, მოისმინა საბჭოთა დელეგატის ი. ერენბურგის სიტყვა. მან კონგრესს გააცნო თავისი პირადი გამოცდილება, თუ როგორ გადავიდა ბურჟუაზიული ლიტერატურის პოზიციებიდან პროლეტარიატის ბანაკში.

სხდომა დამთავრდა საფრანგეთის ნიჭიერი მწერლის მალროს სიტყვით.

„მხოლოდ პროლეტარულ ჰუმანიზმს აქვს მომავალი“

პარიზი, 23 ივნისი. დღეს კონგრესმა დაამთავრა „ინდივიდუუმის პრობლემის“ საკითხის განხილვა, რის შემდეგ შეუდგა დღის წესრიგის შემდგომი პუნქტის—„ჰუმანიზმის“—განხილვას. თავმჯდომარეობენ ბარბიუსი და ნიზანი.

ფრანგმა ჟორჟ ფრიდმანმა თავის ვრცელ მოხსენებაში დაამტკიცა, რომ თანამედროვე კაპიტალისტურმა საზოგადოებამ ომი გამოუცხადა ტექნიკას. მანქანა ადამიანის მტრად არის გამოცხადებული. არ შეიძლება ლაპარაკი ჰუმანიზმზე ჩვენს დროში, როცა ადამიანი გადაიქცა მანქანის დამატებად, როცა კაპიტალისტური რაციონალიზაცია მას ძალებს აცლის და გამოკვების საშუალებას არ აძლევს, მომავალი მხოლოდ რევოლუციიდან გამოსულ პროლეტარულ ჰუმანიზმს აქვს, როგორც ამას საბჭოთა კავშირის მაგალითი გვიჩვენებს. საბჭოთა კავშირში მანქანა ემსახურება ადამიანს, უადვილებს მას შრომას და უხსნის გზას კულტურისაკენ.

უცხოელ მწერალთა განცხადება საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს

პარიზი, 22 ივნისი. ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ვალდო ფრენკმა, რომელიც კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესს ესწრება, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს სხვათაშორის შემდეგი განუცხადა:

„თუ კონგრესი შეიმუშავებს მოქმედების გეგმას, თუნდაც არა სრულ გეგმას, რომლის მიხედვითაც ყველა ქვეყნის გონებრივი შრომის მუშაკები და მუშები შეისწავლიან თავდაცვის სტრატეგიასა და შეტევის ტაქტიკას—ამ შემთხვევაში მწერალთა კონგრესი, რომელიც 1935 წელს პარიზში მიმდინარეობს, მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღი—იქნება“.

პარიზი, 22 ივნისი. ცნობილმა ფრანგმა მწერლებმა ჟან რიშარ ბლოკმა და ანრი ბარბიუსმა საკ. დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს შემდეგი განუცხადეს:

ჟან რიშარ ბლოკმა სთქვა:

„კონგრესის ტრიბუნიდან მწერლებმა გამოსთქვამენ თავისი სასოწარკვეთილებისა და იმედების მოტივებს. კონგრესი შეაჯამებს თავის მუშაობას და ეს ჯამი იქნება განაწესი „ინტელიგენციის გენერალური შტატებისა რევოლუციის წინ“.

ანრი ბარბიუსმა განაცხადა:

ყველა მწერალს აერთიანებს შიში მოახლოვებული საფრთხის წინაშე, რომელიც ამჟამად კულტურას ემუქრება; მათ გადასწყვიტეს იმოქმედონ კულტურის დასაცავად. კონგრესის ტრიბუნიდან დიდად აფასებენ იმ ადგილს, რომელიც საბჭოთა ცივილიზაციას უჭირავს იდეოლოგიისა და კულტურის დარგში“ (ადს).

[illegible] ტყვით. დღის წესრიგშია საკითხი „მწერალი და საზოგადოება“.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ პოეტს ტიხონოვს, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა საბჭოთა პოეზიის შესახებ.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კონგრესზე ჩამოვიდნენ ამხ. პასტერნაკი და ბაბელი. კონგრესის წევრები ფეხზე ადგნენ და ტაში დაუკრეს ახლად ჩამოსულ საბჭოთა დელეგატებს.

პარიზი. 24 ივნისი. გუშინ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ჰუმანიზმის საკითხის განხილვა. პირველი სიტყვა მიეცა საბჭოთა მწერალს ამხ. ალექსი ტოლსტოის, რომელსაც კონგრესი ტაშით შეხვდა. განსაკუთრებული ძლიერებით უამბო კონგრესს ალ. ტოლსტოიმ ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის კრახის შესახებ, ფაშისტური ძალადობის უსაზიზღრეს ფორმებად მისი გადაგვარების შესახებ. ალ. ტოლსტოიმ ილაპარაკა ახალი ჰუმანიზმის წარმოშობაზე საბჭოთა კავშირში.

ფრანგი მწერალი პოლ ნიზანი გამოვიდა მწერალ ბენდის განცხადების წინააღმდეგ, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამტკიცებდა, რომ ადამიანთა კულტურა და კერძოდ დასავლეთის კულტურა გადაულახავი ზღუდით დაშორებულია პროლეტარული კულტურისაგან.

ნიზანმა მოიყვანა შემთხვევა, რომლის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ მოგვითხრო ამხ. სტალინმა, რომ ციმბირში, კაპიტალიზმის პირობებში, ადამიანის სიცოცხლე როგორ ფასობდა ცხენის სიცოცხლეზე ნაკლებად. ამჟამად საბჭოთა კავშირში, ხაზი გაუსვა ნიზანმა, ადამიანი ყურადღების ცენტრშია.

ტრიბუნაზე ადის გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ვალდო ფრენკი. „მე უკვე დიდი ხანია მივხვდი,—განაცხადა ფრენკმა,—რომ ჩემი სიყვარული სიცოცხლისადმი და ჩემი ადამიანური ღირსება მაიძულებს ომი გამოვუცხადო კაპიტალისტურ სისტემას. მე რამდენადმე უფრო გვიან შევიგნე, რომ ეს უარყოფითი პოზიცია შევსებული უნდა ყოფილიყო დადებითი დამოკიდებულებით იმ კლასისადმი, რომელ[illegible] შემდეგ მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩემი რწმენის განხორციელების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მხარისდაჭერა—მიუხედავად ზოგიერთი უთანხმოებისა—იმ პარტიისთვის, რომელმაც შექმნა საბჭოთა კავშირი, იმ პარტიისთვის, რომელიც შეერთებულ შტატებში წარმოადგენს ავანგარდს ყველაზე უფრო მძლავრი ხალხური მოძრაობისა ზანგთა მონობის მოსპობის შემდეგ, კომუნისტთა პარტიისათვის“.

„ერი და კულტურა“

კონგრესი გადადის დღის წესრიგის ახალ საკითხზე—„ერი და კულტურა“ თავმჯდომარეობენ ნექსე და გეენნო. ვრცელი მოხსენებით გამოდის ანრი ბარბიუსი.

შეეხო რა მწერლის განსაკუთრებულ როლს კულტურის დაცვის საქმეში, ბარბიუსმა განაცხადა:

„არსებობს შერჩევა, წარმატება, ტალანტი და, თუ შესაძლებელია, გენია, რომელიც განაგებს მწერლის ისტორიულ ბედიღბალს. იგი რჩეულია. მაგრამ ეს სიტყვა არ უნდა ნიშნავდეს პრივილეგიებს და ღვთაებრივ უფლებებს; იგი ნიშნავს მოვალეობას და პასუხისმგებლობას აკისრებს მწერლებს“.

მაქსიმ გორკის მისალმება კონგრესს

თავმჯდომარე კითხულობს მაქსიმ გორკის მისასალმებელ დეპეშას კონგრესისადმი.

„ძალიან ვწუხვარ,—ნათქვამია მაქსიმ გორკის მისასალმებელ დეპეშაში,—რომ ჯანმრთელობის მდგომარეობამ ხელი შეუშალა ჩემს ფიზიკურ დასწრებას ლიტერატორთა ინტერნაციონალურ კონგრესზე, იმ ადამიანთა შორის, რომელნიც ღრმად გრძნობენ, თუ როგორ შეურაცმყოფელია მათთვის ფაშიზმის წარმოშობა ხედავენ. როგორ იზრდება მისი იდეების მომაკვდინებელი, შხამიანი მოქმედება და მის ბოროტმოქმედებათა დაუსჯელობა....

.... ფრანგ ლიტერატორთა ინიციატივით, მსოფლიოს პატიოსანი ლიტერატორები გამოდიან ფაშიზმისა და ყველა მისი სისაძაგლის წინააღმდეგ.

ეს საუკეთესო განზრახვაა, სავსებით ბუნებრივი „კულტურის ოსტატთათვის“. და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მეცნიერების ოსტატები მიბაძავენ ხელოვნების ოსტატთა მაგალითს.

შემდეგ, უნდა გვახსოვდეს: ისტორიამ მთელი სიცხადით დაგვანახვა, რომ ჰუმანიზმის ლოღიკა მიუღწეველია ორფეხა მგლებისა და ტახების გონებისათვის, და რომ მსოფლიოში არის მხოლოდ ერთი კლასი, რომელსაც შესწევს უნარი გაიგოს და იგრძნოს ჰუმანიზმის მსოფლიო საკაცობრიო მნიშვნელობა—ეს კლასია პროლეტარიატი.

ნამდვილი ჰუმანიზმი შეიძლება იქნეს მხოლოდ ჰუმანიზმი პროლეტარიატისა, რომელიც ისახავს დიად ამოცანას: ჩვენი მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიური ყოფაცხოვრების ყველა საფუძვლის შეცვლას. ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატმა ხელში აიღო ძალაუფლება, ამ ქვეყანაში ჩვენ ვხედავთ, თუ რა გრანდიოზული ენერგიაა დაფარული მის მასაში, რა ტალანტები იქმნებიან მასში, როგორ სწრაფად სცვლის იგი ცხოვრების ფორმებს, აძლევს რა მათ ახალ შინაარსს.

ამხ. გორკის დეპეშა აუწერელ ენტუზიაზმს იწვევს. კონგრესის წევრები ფეხზე მდგომნი დიდხანს უკრავენ ტაშს. ისმის შეძახილი: „სალამი გორკის“, „გაუმარჯოს გორკის“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“.

სხდომა დამთავრდა ცნობილი ფრანგი მწერლის ანდრე შანსონის გამოსვლით.

პარიზი, 24 ივნისი. კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესის დღევანდელ სხდომაზე კვლავ განაგრძობდნენ საკითხის „ერი და კულტურა“ განხილვას.

კონგრესმა უწინარეს ყოვლისა მიიღო ამხ. გორკისათვის გასაგზავნი შემდეგი საპასუხო დეპეშა:

„მწერალთა პარიზის პირველი საერთაშორისო კონგრესი თქვენს მომართავს აღფრთოვანებით მისალმებს. იგი გისურვებთ ჯანმრთელობას, გიცხადებთ თავის პატივისცემას და ალტაცებას“.

კამათი დასრულდა უკრაინის დელეგატ ნიკიტენკოს გამოსვლით.

ბელორუსიის დელეგატმა კოლასმა ილაპარაკა თავის სამშობლოს წინანდელ მძიმე ხვედრზე.

თავმჯდომარე ანრი ბარბიუსი აქვეყნებს თურქ მწერლების დეკლარაციას: ისინი კონგრესს განთავისუფლებული თურქეთის სახელით წარმატებას უსურვებენ.

კონგრესი მქუხარე ტაშით შეხვდა საბჭოთა აზიის დელეგატს ლახუტის.

ამ სიტყვებმა მქუხარე ტაში გამოიწვია.

შემდეგ ლახუტიმ გააკეთა დიდი მოხსენება კულტურის აღორძინებაზე შუააზიის ჩამორჩენილ ერთვნებათა შორის ოქტომბრის შემდეგ.

პარიზი, 25 ივნისი. კონგრესის დღევანდელი სხდომა დაიწყო ფრანგ მწერლის მუნიეს სიტყვით. მან განაცხადა: თუმცა მე მარქსისტი არა ვარ, მაგრამ ვითანამშრომლებ სახალხო ანტიფაშისტურ ფრონტთან ჰიტლერული ბარბაროსობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს სახალხო პოეტმა ამხ. **ტაბიძემ** კონგრესს სალამი უძღვნა თავისი აყვავებული ქვეყნის სახელით. მან მოუთხრო კონგრესს, თუ როგორ ფეხქვეშ გასთელეს მეფის კოლონიზატორებმა ძველი კულტურის ქვეყანა საქართველო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო აყვავება ქართული კულტურისა, რომლის მნიშვნელობა ახლა თვით საქართველოს ფარგლებს ბევრად სცილდება.

ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ სომხის მწერალს ამხ. ალაზანს. მან კონგრესს საბჭოთა სომხეთის სახელით ძმური სალამი გადასცა. რევოლუციამდელი სომხეთი, დაყოფილი ყველაზე უფრო ბარბაროსულ დესპოტებს შორის — მეფის რუსეთსა და სულთანის თურქეთს შორის, სისხლისაგან იცლებოდა. „მე ამ ტრიბუნიდან ვაცხადებ, რომ საბჭოთა სომხეთი უკვე არავის მხრივ შებრალებას არ საჭიროებსო“, — სთქვა ამხ. ალაზანმა.

მქუხარე ტაში გამოიწვია ამხ. ალაზანის განცხადებამ, სომხეთში ჰენრიხ ჰეინეს ძეგლს ვუდგამთო, გერმანიაში კი ჰეინეს ძეგლი ფაშისტებმა დაანგრიესო.

შემდეგ ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი, გერმანელი მწერალი ქალი ანნა ზაგერსი და საბჭოთა მწერლები ამხ. ტიხონოვი, ერენბურგი და კირშონი, რომელთაც დელეგატებმა მქუხარე ოვაციებით მოუსმინეს, მკაცრად გაილაშქრეს ორი ტროცკისტის წინააღმდეგ, როდესაც ეს უკანასკნელნი შეეცადნენ კონგრესის ტრიბუნა საზიზღარი ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის გამოეყენებინათ.

ამის შემდეგ ტროცკისტებს აღარ გაუბედნიათ ტრიბუნაზე გამოჩენა.

საღამოს 9 საათზე (პარიზის დროით) დაიწყო კონგრესის უკანასკნელი სხდომა.

„საბჭოთა პოეზია“

პარიზი, 25 ივნისი. კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესის გუშინდელ საღამოს სხდომის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა—ეს იყო საბჭოთა პოეტ ტიხონოვის გამოსვლა.

მას მქუხარე ტაშით შეეგებნენ. ტიხონოვის მოხსენებამ საბჭოთა პოეზიის შესახებ უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა. მას არაერთხელ აწყვეტინებდნენ ლაპარაკს მოწონების ძახილით.

„მწერლები და საზოგადოება“

საკითხის—„მწერლები და საზოგადოება“ განხილვა დაიწყო ცნობილი გერმანელი მწერლის ჰენრიხ მანის სიტყვით. მას ოვაციით შეეგებნენ. ჰენრიხ მანმა მიულოცა საბჭოთა მწერლებს მუშაობის პირობები, რომლებიც მათთვის შეუქმნია საბჭოთა კავშირს. მან სურვილი გამოსთქვა, დეე საბჭოთა მწერლებმა სულ უფროდაუფრო მაღალ დონეს მიაღწიონ და მსოფლიოს მშვენიერი ნაწარმოებნი მიუძღვნანო.

კონგრესის უკანასკნელი სხდომა

პარიზი, 26 ივნისი. კონგრესის უკანასკნელი საღამოს სხდომა ხალხით გაჭედილ დარბაზში გაიხსნა. დარბაზი, 4 ათას კაცს იტევს, მასში კი 6 ათასი კაცი შეგროვდა. დღის წესრიგში დგას საკითხი „აზრის ღირსებისათვის“.

პირველი გამოდის ფრანგი მწერალი არაგონი. იგი ლაპარაკობს რეალიზმზე, ნამდვილ რეალიზმზე, რომელიც ისტორიულ სიმართლეს გვიჩვენებს. პროლეტარული სტილის თავისებურება ისაა, რომ პროლეტარიატს არ ეშინია ცხოვრების სიმართლეს თვალი გაუსწოროს. სოციალისტური რეალიზმი—ასეთია პროლეტარიატის სტილი.

შემდეგ გამოდის ამხ. კირშონი. იგი ლაპარაკობს ბურჟუაზიული თეატრის მწუხრზე და იმ პატივსა, ინტერესსა და სიყვარულზე, რომლითაც ეპყრობიან თეატრს საბჭოთა კავშირში

დასაცავად

პარიზი, 26 ივნისი. კირშონის შემდეგ კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე ფრანგმა დრამატურგმა ლენორმანმა წარმოსთქვა მხურვალე სიტყვა, რომელშიაც ასახა ბურჟუაზიული თეატრის რღვევა. კონგრესი შემდეგ გადადის „კულტურის დაცვის“ საკითხის განხილვაზე. თავმჯდომარეობენ შანსონი და კაბელი.

დიდი სიტყვით გამოდის ვაიან კუტიური. იგი აჯამებს კონგრესის შედეგებს და აღნიშნავს: კონგრესის მნიშვნელობა ისაა, რომ მწერალი მუშათა კლასის მხარეზე დგება.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნავს, კონგრესის მიერ დაწყებული საქმე უნდა განვაგრძოთო.

ამ მიზნით დაარსდა მწერალთა საერთაშორისო ასოციაცია კულტურის დასაცავად. ასოციაციას ეყოლება მუდმივი ბიურო, რომელმაც სხვა ამოცანებს გარდა—უნდა მოამზადოს შემდეგი კონგრესი.

ბიუროში შედის 112 კაცი, სხვადასხვა ქვეყნის მწერლები. საბჭოთა კავშირს ბიუროში ჰყავს 12 წარმომადგენელი.

ბიუროს მეთაურობს პრეზიდიუმი 12 კაცის შემადგენლობით. მასში შედიან ანდრე ჟიდი, ანრი ბარბიუსი, რომენ როლანი, ჰენრიხ მანი, ტომას მანი, მაქსიმ გორკი, ფორსტერი, ჰექსლი, ბერნარდ შოუ, სინკლერ ლიუისი, სელმა ლაგერლეფი, ვალე ინკლანი.

ასოციაციის ადგილსამყოფელია პარიზი.

საბჭოთა კავშირისაგან ბიუროს წევრებად არიან შემდეგი ამხანაგები: მაქსიმ გორკი, შოლოხოვი, კირშონი, ლახუტი, მიკიტენკო, პანფეროვი, ბორის პასტერნაკი, ნ. ტიხონოვი, ალექსი ტოლსტოი, ტრეტიაკოვი, ილია ერენბურგი და მიხეილ კოლცოვი (ადს).

ტფილისის პარტაქტივის კრება

უდიდესი აქტივობა და დარაზმულობა

23-24 ივნისს ოპერაში შესდგა ტფილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებზე გამოვიდა **ამხ. ლავრენტი ბერია,** რომელსაც დამსწრენი მქუხარე ოვაციებით შეეგებენ.

ტფილისის პარტიულმა აქტივმა უდიდესი ყურადღებით მოისმინა ამხ. ბერიას მეტად შინაარსიანი, [illegible] მოხსენება, რომელსაც მას არაერთხელ აწყვეტინებდნენ მქუხარე ტაშით.

აქტივის ეს კრება არაჩვეულებრივი იყო. იგი ჩატარდა აქტივის კრებების შესახებ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების მიხედვით, ჩატარდა უდიდესი აქტივობითა და ინტერესით. კამათმა, რომელიც ამხ. ბერიას მოხსენების გამო გაჩაღდა, ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა ტფილისის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური ზრდა და უდიდესი ერთგულება ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და ამხ. სტალინისადმი.

კამათში გამოსული ამხანაგები არამარტო სავსებით და მთლიანად იწონებდნენ ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკურ გადაწყვეტილებებს, არამედ კონკრეტული წინადადებებით ამდიდრებდნენ იმ კოლექტიურ ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ პლენუმის დირექტივების შესრულება.

23 ივნისს, აქტივის საღამოს სხდომაზე კამათში გამოვიდნენ ამხ. **თვალჭრელიძე** (ლენინის რაიკომის მდივანი), **მახარაძე** (სტალინის რაიკომი), **ოგანეზოვი** (მაუდის ფაბრიკის პარტკომის მდივანი), **იშხანოვი** (კიროვის რაიკომის მდივანი), **კაკელია** (საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი), **ჯანელიძე** (სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ბალდასაროვი** (ორჯონიკიძის სახ. ქარხანა), **შ. ლეჟავა** და პარტიის ტფილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **გ. არუთინოვი.**

თავიანთ სიტყვებში ამხანაგები სახავდნენ სავსებით კონკრეტულ ამოცანას მოსავლის დამუშავების და აღების კამპანიასთან დაკავშირებით. ისინი ლაპარაკობდნენ იმ გაკვეთილებზე, რომელიც თითეულმა კომუნისტმა, თითეულმა ხელმძღვანელმა უნდა გამოიყვანოს თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში მოღალატე ენუქიძის საქმიდან.

ამხ. **თვალჭრელიძემ** ილაპარაკა იმ დახმარებაზე, რომელიც ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს და სოფლებს მოსავლის დამუშავებასა და აღებაში (სასოფლო სამეურნეო მანქანების, პირველყოვლისა მოსავლის ამღებ მანქანების რემონტი და სხ.).

[illegible] ბის გაძლიერება — თქვა მან.

— ენუქიძის საქმიდან — განაცხადა ამხ. **ოგანეზოვმა,** — ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ საჭირო დასკვნები. კერძოდ საჭიროა, რომ აუცილებლად გავამაგროთ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფეიქრო სამმართველო, რომელიც ჯერჯერობით ცუდად ეხმარება საწარმოებებს, კერძოდ მაუდის ფაბრიკას.

— საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების მინდვრებზე მოსალოდნელია დიდი მოსავალი; მისი აღება ბოლშევიკურად უნდა მოვაწყოთ — ამბობს ამხ. **იშხანოვი.** თვითეულმა კომუნისტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს პლენუმის დადგენილებანი მოსავლის აღებისა და სას. სამ. პროდუქტების დამზადების შესახებ.

— საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავების დარგში თვალსაჩინოა ჩვენი მიღწევები — განაცხადა ამხ. **კაკელიამ.** წინა სასოფლო-სამეურნეო წლის და საგაზაფხულო თესვის შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ბოლშევიკებმა მაგრად მოჰკიდეს ხელი სოფლის მეურნეობას.

ამ წარმატებათა საფუძველზე ჩვენ უნდა ვუზრუნველვყოთ მოსავლის სანიმუშოდ აღება. შემდეგ ამხ. კაკელია შეეხო ჩაის ფოთლის კრეფას. — ზოგიერთ მუშაკს — ამბობს იგი, — უკანასკნელი დღეების არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო ეჭვი ეპარება ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულების შესაძლებლობაში. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა დავძლიოთ, აღმოვფხვრათ ეს განწყობილება და სასახელოდ შევასრულოთ ვალდებულება პროლეტარულ სახელმწიფოს წინაშე.

— ორჯონიკიძის სახ. ქარხანა— განაცხადა ამხ. **ბალდასაროვმა**—ამზადებს მანქანებს ჩაისა და ღვინის მრეწველობისათვის; ჩვენი დახმარება და მონაწილეობა მოსავლის აღებაში პირველ რიგში უნდა გამოიხატოს საწარმოო გეგმის შესრულებასა და მანქანების ხარისხის გაუმჯობესებაში.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი ამხანაგი გრ. **არუთინოვი,** რომელსაც აქტივი მქუხარე ტაშით შეეგება, შეჩერდა ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ტფილისის ორგანიზაციის წინაშე მდგარ კონკრეტულ ამოცანებზე, ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ბოლშევიკური სიფხიზლის გამახვილებაზე. ამხ. არუთინოვმა აქტივს მოაგონა საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე ამხ. ბერიას მიერ ტფილისის პარტორგანიზაციის წინაშე დაყენებული ამოცანა და მოუწოდა საკუთარი რიგების შემჭიდროვებისა და დარაზმულობისაკენ, რომ წარმატებით შესრულდეს ამხ. ბერიას მითითებანი.

★

24 ივნისს დილით გრძელდებოდა კამათი ამხ. ბერიას მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს **ამხ. მშვენიერაძემ** (ლენინის რაიონული საბჭო), **ტატანაშვილმა** (ბერიას სახ. ვაგონების სარემონტო ქარხანა), **თოდრიამ** (ა.-კ. ცაკი), საქ. **სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილმა, მიქელაძემ** (საქ. მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), **გორდელაძემ. თ. ჟღენტმა** (საქ. ცაკი), **პ. მელაძემ** (ა.-კ. სახკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტი), **ანდრეევამ** (საკონდიტერო ფაბრიკა) და [illegible] (ტფილისის კომიტეტი).

აქტივზე დიდი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. კუდრიავცევი,** რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

თავის შინაარსიან სიტყვაში ამხ. კუდრიავცევმა ილაპარაკა ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე კონკრეტულ ამოცანებზე. და აქტივის ყურადღება გაამახვილა მასებში ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაზე, ბოლშევიკური სიფხიზლით კლასობრივი მტრის გამომჟღავნებაზე.

— ჩვენი სიფხიზლე, როგორც ეს არაერთხელ აღუნიშნავს ამხ. ბერიას, — განაცხადა ამხ. კუდრიავცევმა, უნდა იყოს შეტევითი სიფხიზლე, რომელიც ყველგან და ყოველთვის გამოამჟღავნებს ნიღბაფარებულ კლასობრივ მტრებს.

შემდეგ ამხ. კუდრიავცევი შეეხო „პარტიული მეურნეობის“ საკითხებს.

პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ უნდა უზრუნველჰყოს ყველა შემთხვევითი ელემენტის და მოტყუებით პარტიაში შემძვრალი ადამიანების გამომჟღავნება და განდევნა ჩვენი რიგებიდან— განაცხადა მან.

ყველა ამხანაგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ა. ენუქიძის მოღალატურ საქციელს და ამასთან დაკავშირებით კომუნისტების კლასობრივი სიფხიზლის გამახვილების აუცილებლობას.

— ენუქიძე დაექანა კლასობრივ მტრებისაკენ და ხელში ჩაუვარდა მათ, იგი გადაიქცა მათ აშკარა მფარველად და ხელშემწყობად და ღირსეული სასჯელიც მიიღო — თქვა ამხ. **ანდრეევამ;** ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილია. გულდასმით უნდა შევამოწმოთ ჩვენი ზოგიერთი აპარატი და დაუნდობლად გავაძევოთ იქიდან უცხო ელემენტები.

კამათში გამოსული ამხანაგები მთლიანად და სავსებით იწონებდნენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას, ენუქიძის შესახებ და სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ პოლიტიკურად და საყოფაცხოვრებო მხრით საბოლოოდ გახრწნილ, დამპალ ლიბერალ ენუქიძეს, რომელმაც დაჰკარგა ბოლშევიკის სახე და დაუშვა საბჭოთა კავშირის ცაკის სამდივნოს აპარატში მუშათა კლასის აშკარა მტრების გაძრომა.

ამასთან, თვითეული პარტიული ორგანიზაციისაგან, თვითეული კომუნისტისაგან ამხანაგები მოითხოვდნენ ბოლშევიკური სიფხიზლის გამახვილებას არა სიტყვით, არა რეზოლუციებით, არამედ საქმით.

— ტფილისში კიდევ არიან — აცხადებდნენ ისინი, განადგურებული ანტიპარტიული ჯგუფების ნაშთები, ანტისაბჭოთა ელემენტების ნარჩენები, რომლებსაც ხელი არ აუღიათ თავიანთ მავნებლურ მუშაობაზე. ეს გვავალებს ბოლშევიკური სიფხიზლის გამახვილებას, კომუნისტების იდეური შეიარაღების გაუმჯობესებას, პარტიის ისტორიის, კერძოდ ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების ისტორიის ღრმად შესწავლას, „პარტიული მეურნეობის“ სანიმუშოდ მოწყობას.

ყველა ამხანაგი ღრმა რწმენას გამოსთქვამდა, რომ ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკები, სამხარეო კომიტეტის, ც. კ-ის და მათი გამობრძმედილი ხელმძღვანელის ამხ. **ბერიას** მეთაურობით, მჭიდროდ დარაზმული საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამხ. **სტალინის** გარშემო, წარმატებით შეასრულებენ ც. კ-ის ივნისის პლენუმის დადგენილებებს.

აქტივმა ამხ. ბერიას მოხსენების გამო ერთხმად და ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

„ვაშას“ ძახილით და მქუხარე ტაშით აქტივმა მიიღო მისალმება ჩვენი პარტიის საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი.**

ტფილისის ბოლშევიკების აქტივმა ფეხზე ადგომით, ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა მას, ვისაც ჩვენი უძლეველი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს — **დიდ სტალინს.**

აქტივის კრება დაიხურა „ინტერნაციონალის“ გუგუნით.

კომუნიზმი და კულტურა

„პრავდის“ მოწინავე 25/VI

საბჭოთა დელეგაცია გულთბილი ოვაციების საგნად შეიქნა მწერალთა საერთაშორისო კონგრესზე პარიზში. მისი სახით მსოფლიოს მოწინავე მწერლები სალამს უძღვნიდნენ საბჭოების დიად ქვეყანას, გამოსთქვამდნენ თავის აღფრთოვანებას მისი სოციალისტური მშენებლობით, აღიარებდნენ მის უდიდეს ძალას იმ ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, რომელიც კაცობრიობას საფრთხეს უმზადებს.

მსოფლიოს უდიდესმა მწერალმა რომენ როლანმა განახორციელა თავისი დიდი ხნის ოცნება და საბჭოთა ქვეყანაში ჩამოვიდა.

თვითეული ეს მოვლენა თავისთავად შესანიშნავია. ის გარემოება, რომ ეს მოვლენები ერთსა და იმავე დროს მოხდა, აორკეცებს მათს მნიშვნელობას. ისინი ერთიანდებიან მსოფლიო გენიის, ჭკუის, ნიჭისა და კულტურის ისტორიულ მანიფესტაციად, რომელიც მიმართულია ფაშისტური გონებაჩლუნგობის, ველურობის, ბნელეთის გაბოროტებული მოციქულობის, ხულიგნობის წინააღმდეგ.

მწერალთა საერთაშორისო კონგრესი და რომენ როლანის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში იძლევიან კულტურათა ცვლისა და მათი თანამომდევნობის შესანიშნავ სურათს. თანამედროვე საზოგადოებაში მხოლოდ პროლეტარიატი წარმოადგენს არა მარტო შემომქმედს, არამედ საუკუნეთა საუკეთესო კლასიკური კულტურული მემკვიდრეობის დამცველსა და გამგრძელებელსაც. ამის შესახებ კონგრესზე სიტყვებიც რომ არ ყოფილიყო წარმოთქმული, ამას მაინც მჭერმეტყველურად ადასტურებს მსოფლიოს მოწინავე მწერლების შეხვედრა საბჭოთა მწერლების დელეგაციასთან პარიზში და რომენ როლანის შეხვედრა მაქსიმ გორკისთან მოსკოვში. მაგრამ სწორედ ამას შეეხებოდა კონგრესზე წარმოთქმული სიტყვების დიდი უმრავლესობა და ამაზევე ილაპარაკა საფრანგეთის დიდმა მწერალმა თავის პირველ სიტყვებში, რომელიც მან საბჭოთა ქვეყანაში სთქვა.

რომენ როლანი და მაქსიმ გორკი თავისი ასაკით მსოფლიო ლიტერატურის უფროს თაობას ეკუთვნიან. ბურჟუაზია ვერ მოსძებნის ისეთ სახელებს, რომ დაუპირისპიროს მათ, როგორც თანასწორნი. მათს წიგნებზე აღიზარდნენ მილიონები. სადაც და ვინც უნდა ადგენდეს თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო უმაღლესი ნიმუშების ქრესტომათიას, აქ მთავარი ადგილი დათმობილი ექნებათ რომენ როლანისა და მაქსიმ გორკის სახელებს.

მათ სხვადასხვა გზით მოიხვეჭეს სახელი. რომენ როლანი ბავშობიდან ითვისებდა ძველებური ფაქიზი კულტურის ყველა ნაყოფს. ბურჟუაზიამ მისცა როლანს ყველაფერი, რაც კი მას საუკეთესო მოეპოებოდა. მას შეეძლო ემაყა რომენ როლანით, როგორც თავისი საუცხოვო ქმნილებით. თავის ახალგაზრდობაში, როცა ოცნებობდა კაცობრიობის ოქროს ხანაზე, რომენ როლანი არ ფიქრობდა ბურჟუაზიის საზოგადოებრივი წყობილების დამხობაზე, მისი შესანიშნავი რომანების რჩეული სტრიქონები არ იყო გამსჭვალული სიმწარითა და სიძულვილით.

გორკიმ ბავშობიდანვე იგემა რუსეთის უკულტურობის მთელი სიმწარე. არ იყო ისეთი დღე, რომ მის თვალწინ ყოველთვის ახლებურად არ გადაშლილიყო მილიონთა სილატაკის ტანჯვისა და ჩაგვრის ზღვა. კლასობრივ ბრძოლას იგი წიგნებში როდი გაეცნო. მან განვლო რევოლუციური ბრძოლების სკოლა, მისი მასწავლებელი და მეგობარი იყო პროლეტარული რევოლუციის გენიალური სტრატეგი. ბურჟუაზია ვერ ბედავდა პროლეტარული მწერლის ნიჭის უარყოფას, მაგრამ იგი სდევნიდა გორკის ისეთივე დაუშრეტელი სიძულვილით, როგორითაც სდევნიდა მუშათა კლასს.

რევოლუციურ პროლეტარიატთან ერთად გორკიმ ნათლად შეიგნო, რომ კაპიტალისტური სიმხეცისაგან კაცობრიობის ხსნა მხოლოდ კომუნიზმში მდგომარეობს. აჯამებს რა თავისი სამწერლო მოღვაწეობის მთელ გამოცდილებას, იგი სწერს მწერლების კონგრესს, იმ მწერლებისას, რომლებსაც შეუძლია თავისი შვილები უწოდოს:

„ისტორიამ უდიდესი სიცხადით დაგვანახვა, რომ ჰუმანიზმის ლოგიკა მიუწდომელია ორფეხა მგლებისა და ტახებისთვის... მსოფლიოში არის მხოლოდ ერთი კლასი, რომელსაც შესწევს ჰუმანიზმის მსოფლიო, საკაცობრიო მნიშვნელობის გაგებისა და გრძნობის უნარი. ეს კლასი პროლეტარიატია“.

ჰუმანიზმი. მაგრამ სწორედ ჰუმანიზმის გამარჯვებაზე ოცნებობდა მთელ თავის სიცოცხლეში რომენ როლანი. მეოცნებე ჰუმანისტის ჟან კრისტოფის ამბავს ეხება მისი რომანების შესანიშნავი სერია. მაგრამ მოხუცებულობის ჟამს დიდმა მწერალმა დაინახა, რომ ბურჟუაზიის ჰუმანიზმი ამოსვრილია იმპერიალისტური სასაკლაოს სისხლსა და ჭუჭყში და მისი იდეალები ვერ გადაარჩინა შვეიცარიის იმ კუთხემ, რომელიც მოშორებით იყო მტაცებელთა ბრძოლების ადგილებიდან. ცხადი გახდა, რომ კაპიტალისტური მხეცობის სამყაროში ჰუმანიზმს ადგილი არ რჩება და უდიდესი მწერლის წინაშე, რომლის გულიც იტევდა მილიონთა ტანჯვას, მათს დამცირებას, მათს მწუხარებას, აუცილებლად გადაიშლებოდა სასოწარკვეთილებისა და პესიმიზმის პერსპექტივა, რომ ამ დროს იმედიანობით არ გაბრწყინვებულიყო ახალი სამყარო, რომელსაც შორეულ ქვეყანაში ჰქმნის გამარჯვებული პროლეტარიატი. ეს იმედი რწმენად იქცა და ცოცხალია მოხუცი, მძლავრი, მხიარული კოლა ბრენიონი... რომენ როლანს ჰხვდებიან იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარულმა ჰუმანიზმმა გაიმარჯვა, როგორც თავის ძვირფას მწერალს, როგორც თავისი სრულფასიანი სასიხარულო კულტურული ცხოვრების მასწავლებელს; იგი თვითონ ამბობს:... „თქვენში ხორციელდება ბევრი ის, რაზედაც მე ჯერ კიდევ ჭაბუკობაში ვოცნებობდი“. მხოლოდ სოციალიზმს, რომელიც საბჭოთა კავშირში ხორციელდება, შეეძლო მიეცა რომენ როლანისათვის იმ სასწაულებრივი სიახალგაზრდავის საშუალება, რომელიც წლოვანებს ამარცხებს. „ვბერდები და უფრო ვახალგაზრდავდები სულით“ —ამბობს რომენ როლანი თავის თავზე. სულის ამ ახალგაზრდობას მას აძლევს კავშირი ახალგაზრდა, სიცოცხლეხალისიან შემომქმედ კლასთან — პროლეტარიატთან.

ასე ლაპარაკობენ ჩვენი მოხუცები —ლიტერატურის მამები. სულის ასეთივე ახალგაზრდობით გამსჭვალულია პარიზის კონგრესზე წარმოთქმული სიტყვები. ამ კონგრესზე წარმოდგენილია კაპიტალისტური მსოფლიოს ინტელიგენცია. მან იცის, თუ რა ფასი აქვს ფაშისტურ ბარბაროსობას, ვინაიდან მას პირისპირ ხედება. იგი უშუალოდ თავის თავზე განიცდის კაპიტალისტური სამყაროს ძრწოლას პროლეტარული რევოლუციის წინაშე.

მსოფლიოს მოწინავე მწერლები მზად არიან იბრძოლონ ფაშიზმის წინააღმდეგ. მათ ფაშიზმი გულწრფელად და მგზნებარედ სძულთ. მაგრამ მათი ბრძოლა უძლური იქნებოდა, მათი მძლავრება პლატონური (უმოქმედო) დარჩებოდა, მათ რომ არ იცოდნენ, რომ მსოფლიოში არსებობს ძალა, რომელსაც ვერ დასძლევს ფაშიზმი, ძალა, რომელსაც მოაქვს მსოფლიოს განახლება, კულტურის აღორძინება ახალ, გაცილებით უფრო გრანდიოზულ საფუძვლებზე — კომუნისტური პროლეტარიატის ძალა. რაკი რევოლუციურ პროლეტარიატს, ემყარებიან მსოფლიო მოწინავე მწერლებიც გრძნობენ თავის ძალას. მათ იციან რომ არსებობს ქვეყანა — კომუნიზმის აკვანი — და ამ ქვეყნის კედლებზე, როგორც სალ კლდეზე, აუცილებლად დაიმსხვრევა ფაშიზმის მძვინვარე ტალღა.

რამდენი ცილისწამების ტალახი იხმარეს იმპერიალისტურმა მთავრობებმა, რამდენ ტალახს ხმარობს ახლაც ფაშიზმი, რომ ამ მასალით შეთითხნოს „ზღუდე“, რომელიც განაცალკევებს ვითომდა კულტურულ ევროპას, ვითომდა უკულტურო საბჭოთა ქვეყნისაგან. მწუხარე სახის, უფრო კი სასაცილო სახის რამდენმა რაინდმა იკისრა „საბჭოთა ბარბაროსობის“ წინააღმდეგ „ცივილიზაციის“ დაცვის ამოცანა.

მაგრამ ტალახი, მკვიდრი მასალა ვერ არის, განსაკუთრებით მკვიდრი ვერ არის ცილისმწამებლის მასალა. და ახლა პარიზში მსოფლიოს მოწინავე მწერალთა პირით, გერმანელ მწერალთა პირით საბჭოთა ქვეყანა — კომუნიზმის აკვანი— გამოცხადებულია კულტურის, ჰუმანიზმის, ლიტერატურის ერთადერთ საიმედო და ნამდვილ ზღუდედ ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ... „კომუნიზმი და კულტურა ერთმანეთისაგან განუშორებელია, ფაშიზმი კი იგივეა, რაც ბარბაროსობა და ომი“, — ამბობს ჰოლანდიელი მწერალი ჟეფ ლასტი. „საბჭოთა კავშირი — ახალი მსოფლიო კულტურის ნამდვილი სამშობლო— ევროპის ლიტერატურისა და მეცნიერების საუკეთესო ადამიანებს რწმენას აძლევს, ძალას და ენერგიას ჰმატებს იმ ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მთელს მსოფლიოს საფრთხეს უმზადებს“ — ამბობს კარინ მიხაელისი. ფრანგი მწერალი პოლ ნიზანი ადასტურებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მოწინავე მწერალთა ბრძოლისათვის ამხანაგ სტალინის სიტყვას ადამიანისადმი ყურადღების შესახებ. მწერლებისათვის განსაკუთრებით ახლობელ თემაზე („პიროვნების პრობლემა) გაკეთებულ მოხსენებაში ანდრე ჟიდი, ამბობს, რომ „სწორედ კომუნისტურ საზოგადოებაში ეძლევა ყოველი ინდივიდუუმის თავისებურებას საუკეთესო განვითარების შესაძლებლობა“.

ამრიგად, ერთსადაიმავე დროს, საბჭოთა ქვეყანასთან რომენ როლანის შეხვედრის დროსაც, პარიზში მთელი მსოფლიოს მწერლების საბჭოთა დელეგაციასთან შეხვედრის დროსაც, მსოფლიო ლიტერატურის უფროსი თაობის სიტყვებშიაც და მოწინავე ლიტერატურული ახალგაზრდობის გამოსვლებშიაც მთელი ქვეყნიერების წინაშე იშლება იმ ბრძოლის დიადი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, რომელსაც კომუნიზმის დროშით აწარმოებს რევოლუციური პროლეტარიატი, იმ მშენებლობის მნიშვნელობა, რომელიც გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში მიმდინარეობს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ჰქრება ძველი კულტურის ლამპარი და ფაშისტურ - ბარბაროსობასთან ერთად ახლოვდება ბნელეთის მოციქულთა უბადრუკობა. მაგრამ საბჭოთა ქვეყანაში უფრო და უფრო ელვარედ, უფრო და უფრო მხიარულად ჩაღდება ახალი სოციალისტური კულტურის ლამპარი და მის ბედნიერ ნიადაგზე იფურჩქნებიან ნიჭის, ტალანტის, შემოქმედების განსაცვიფრებელი ყვავილები.

აქეთკენ, საბჭოთა ქვეყნისაკენ— მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოსაკენ — უფრო და უფრო მეტად აპყრობენ თვალს მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ადამიანები, რომელთათვისაც ძვირფასია ნამდვილი კულტურა, ძვირფასია თავისუფალი, სიცოცხლეხალისიანი შემოქმედი ადამიანი.

დანაკარგებთან ბრძოლა ცუდადაა დაყენებული

ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში

(„კომუნისტის“ სპეც. ბრიგადისაგან)

ვეცნობით ალაზნის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღების საქმეს და რწმუნდებით, რომ აქ უხეიროდ იბრძვიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

მეურნეობის დირექცია ვალდებული იყო მინდვრად გაეყვანა ყველა კომბაინი არა უგვიანეს 5 დღისა მოსავლის აღების დაწყებამდე, რათა შეემოწმებინა მათი მზადყოფნა. ნათესების კუთხეები უნდა მოემკათ (მით უმეტეს, რომ მთელ მოსავალს 4.745 ჰექტარზე კომბაინებით იღებენ), მაგრამ ეს ასე როდი მოხდა.

როდესაც 12 ივნისიდან კომბაინები მინდვრად სამუშაოდ გავიდნენ, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი „წვრილმანი“ მოუგვარებელი ყოფილიყო. ამ „მოულოდნელმა“ ჩავარდნამ მოსავლის აღების პირველ ორ დღეს დიდად შეაფერხა კომბაინების მუშაობა. შოფერმა არ იცოდა, რომელ კომბაინზე იყო მისი მანქანა მიმაგრებული. ამიტომ მას კომბაინის ძებნაში დრო ეკარგებოდა და ზედმეტი გარბენა უხდებოდა. არც კომბაინერმა იცოდა მასზე მიმაგრებული ავტომანქანა. ჭერით სავსე კომბაინი ხშირად ავტომანქანის მოლოდინში გაცდენილი იყო.

მოსავლის წარმატებით აღება მუშაობის სამაგალითო ორგანიზაციას მოითხოვს. მთავარია—მთელი ამ მუშაობის სასწრაფოდ დამთავრება, ე. ი. 12 სამუშაო დღეში. ჯერჯერობით აღებული ტემპები ვერ უზრუნველყოფენ დავალების ვადაზე შესრულებას. 22 ივნისისათვის მეურნეობაში შესრულებული იყო მოსავლის აღების გეგმის 24,9 პროცენტი.

მეურნეობის პარტიული კომიტეტის ახლადდანიშნულ მდივან ამხ. ორ. ლოლაშვილთან ერთად ჩვენ ვნახეთ, მეორე აგროუბნის გზებზე, განსაკუთრებით მოსახვევებში, მოფენილი პურის მარცვალი. გამოვარკვიეთ, რომ ეს ჩაუდენია შოფერ გერმიშევს. გერმიშევი გამონაკლისი არ არის.

ზოგიერთი შოფერი კომბაინიდან ბელლებში პურის გადაზიდვისას მოსახვევში მანქანას სწრაფად აბრუნებს, რის გამო ავტოდან ცვივა მარცვალი. გარდა ამისა, ავტომანქანის ფიცრებში პუჭრუტანები არ არის ნამჯით დაცობილი, მეორე სატრაქტორო რაზმის უფროსი ამხ. მუსთაბი კი ამას ყურადღებას არ აქცევს.

ჩვენ ეს მდგომარეობა გავაცანით მეურნეობის ავტორაზმის უფროსის მოადგილეს ამხ. ჯანდიერს, რომელმაც იგი „წვრილმანად“ მიიჩნია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა თავის დადგენილებით, სიღნაღის რაიონში თავთავიანი კულტურების აღებისა და გალეწვის ორგანიზაციის შესახებ, პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა დანაკარგებთან ბრძოლის საკითხებზე. მიუხედავად ამისა, მეურნეობაში თავთავის შეგროვება სუსტად წარმოებს. მეორე აგროუბნის ბრიგადირ ამხ. ალადაშვილის ნაკვეთზე ვნახეთ შეუგროვებელი თავთავები. ასეთივე მდგომარეობას წავაწყდით მეოთხე კომბაინის სამუშაო ნაკვეთზე.

პირველ აგროუბნის ნაკვეთზე შევხვდით დანაკარგებთან მებრძოლ მუშების ერთ ჯგუფს, რომელიც მწკრივებში აუკრეფავად სტოვებდა ჩაცვენილ თავთავებს.

მეურნეობაში მკის დამთავრებიდან 2-3 დღის შემდეგ აგროვებენ პურის თავთავს. როგორც სავალდებულო წესი, მომკილ ნაკვეთს არ მოფოცხავენ ხოლმე ცხენისა და ხელის ფოცხით.

ამ საკითხზე ვესაუბრეთ პირველი უბნის აგრონომს გ. ფურცელაძეს, რომელსაც მოვაგონეთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება მომკილი ყანის სავალდებულო მოფოცხვის შესახებ. მან განაცხადა:

— ჩვენს პირობებში ცხენის ფოცხი გამოუსადეგარია.

ეს განცხადება სინამდვილეს არ შეეფერება.

ყოველივე ამის მიზეზი ისაა, რომ მეურნეობის დირექციას (დირექტორი ამხ. ვ. ბოსტანჯიანი) დღემდე არ მიუღია ყველა საჭირო ზომა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად.

დანაკარგის ზრდას ხელს უწყობს ბელლებისა და ფარდულების მოუმზადებლობაც. 23 ივნისისათვის 4 ფარდული შემოფიცრულიც არ იყო. მე-5 და მე-6 ბელელში არ არის ფიცრის იატაკი დაგებული. ზოგან მიწა დახეთქილია და შიგ პურისა და ქერის მარცვალი ცვივა. მე-5 ბელელში წვიმა ჩადის და დღემდე ვერ მოუხერხებიათ მისი რიგიანად გადახურვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერც კომბაინები მუშაობენ სრული ნაყოფიერებით. კომბაინებთან მარცვლის შეუფერხებლად გადაზიდვისათვის მეურნეობაში 23 ივნისამდე აკლდათ 18 ავტომანქანა. ამის გამო მარცვლით სავსე კომბაინი, ავტომანქანის მისვლამდე, ყოველდღიურად 2-3 საათს უქმად იდგა. 17 ივნისამდე ავტომანქანების უქონლობით 28 კომბაინი 60 საათს, 21 მაისს კი 40 კომბაინი—104 საათს მოსცდა.

23 ივნისს მეურნეობაში სხვადასხვა ორგანიზაციიდან მიიღეს მობილიზებული ავტომანქანები, მაგრამ მარტო ეს ვერ შველის საქმეს. მეურნეობას არ გააჩნია კომბაინების და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი კომბაინერის თავდადებული მუშაობა მოსავლის აღებაში. მე-13 კომბაინის კომბაინერი ამხ. ალ. ყაითმაზოვი დღეში 10 ჰექტარის ნაცვლად 15 ჰექტარს იღებს; ამხ. ი. ჩერკაშენი (მე-4 კომბაინის კომბაინერი) დღეში 15-16 ჰექტარს იღებს დღეში. როგორ აღწევენ ამას? იმით, რომ აქ შრომა მოწესრიგებულია. ზემოხსენებული კომბაინერები, თავის თანაშემწეებსა და ტრაქტორისტებთან ერთად პირადად წინასწარ გაეცნენ თავიანთ ნაკვეთებს, ადგილობრივვე გაითვალისწინეს ყველა „წვრილმანი“ მხოლოდ ამის შემდეგ შეადგინეს თვითეული კომბაინის სამარშრუტო გეგმა. კომბაინის ნაწილებს ყოველდღე ზეთავენ, ასუფთავებენ.

ამხ. ყაითმაზოვი და ჩერკაშენი გამონაკლისს როდი წარმოადგენენ. მაგრამ აქ მათზე არ იჩენენ იმ მზრუნველობას, როგორც ამას ამხ. სტალინი მოითხოვს. მეურნეობის დირექცია ვალდებული იყო მოსავლის აღების დაწყებამდე 5 დღით ადრე დაემთავრებინა მინდვრად საცხოვრებელი ფარდულების აგება. მაგრამ მესამე და პირველ უბანს ფარდულები საკმაოდ ამჟამადაც არ გააჩნიათ. კომბაინერებს, მათ თანაშემწეებს, ტრაქტორისტებს თივაში მანქანების ქვეშ სძინავთ, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების მიღება მათთვის ხომ სულ უცხო ხილია.

თ. კუნჭულია.
ალ. გვინჩიძე.

ჩვენი ქვეყნის ადამიანები

„შემდეგ ნამახვანჰესს ვესტუმრები“

...თერთმეტი წლის თუ იქნებოდა ვლასი, როდესაც მამამისმა დიმიტრი ხვადაგიანმა სოფელ ზოგრიშიდან (ლეჩხუმი) ფეხით ჩამოიყვანა ქუთაისში და სამექანიკო სახელოსნოს კერძო მეპატრონე ფარნაოზ ვაწაძესთან მიიყვანა.

— ჩემი ოჯახი უკიდურეს სიღარიბეშია, ველარ შევძელი წვრილი ცოლშვილის რჩენა, დააყენე შენთან ეს ბავშვი, იქნებ რამე ხელობა ასწავლო, — ემუდარებოდა დიმიტრი ფარნაოზ ვაწაძეს.

ვაწაძე დათანხმდა.

— ერთი წლის შემდეგ მოდი და თან ათთუმნიანი წამოიღე, ხელობის სწავლის ფული უნდა — მკვახედ დასძინა „ხაზეინმა“.

ფარნაოზ ვაწაძემ ბავშვს ხელობისადმი დიდი ინტერესი და საქმისადმი მუყაითობა შეატყო, თვიურად რამდენიმე გროშით წაახალისა, 6 თვის შემდეგ საზეინკლო დაზგაზე გადაიყვანა და კერძო შეკეთებაზე დააწყებინა მუშაობა. ვლასიმ ამ დაზგასთან ათი წელი გაატარა.

1914 წელს მოგებით გატაცებულმა ფ. ვაწაძემ ქიათურაში შეიძინა მავიქვის სარეცხი ქარხანა. მექანიკოსის თანაშემწედ ვლასი ხვადაგიანი დანიშნა. „ხაზეინთან“ კონფლიქტის გამო ვლასიმ მალე მიატოვა სამუშაო და ანჯაფარიძე-თოფურიის ქვის მრეწველობაში დაიწყო ზეინკლად მუშაობა. და აი, ვლასის აგონდება ერთი დამახასიათებელი შემთხვევა:

— ხელფასის სისტემატიურად დაკლებამ და თავის დროზე მიუცემლობამ მუშებში მღელვარება გამოიწვია. შაბათი დღე იყო. მუშები მმართველ აბულაძის კანტორის წინ იკრიბებოდენ. ამ დროს ვინმე ბარათაშვილი და აბულაძე მათრახებით ხელში დაერივნენ მუშებს და გარეკეს, მათრახის გემო მეც ვიწვნიე, იძულებული გავხდი დამეტოვებინა სამუშაო და სხვა სარეწაოზე მემუშავა.

ასე ქიათურაში მუშაობა, მონაწილეობა საერთო გაფიცვებში. და ასე გადიოდა წლები...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვლასი მაღაროების დირექციაში მიიწვიეს და მექანიკოსის თანამდებობა შესთავაზეს. ვლასი ენერგიულად შეუდგა მუშაობას.

იწყება რიონის ჰიდროელსადგურის მშენებლობა. ზაჰესიდან გადმოტანილი სამექანიკო სახელოსნო რიონჰესის მე-2 უბანში ჯერ კიდევ გაუმართავი იყო, სახელოსნოს შენობა აგეს, მაგრამ არ იყო დაზგები, სახელოსნო იარაღები და სხვ. რიონჰესის ერთერთი ინჟინრის წინადადებით ვლასი ქუთაისში გადმოდის. იწყებს მუშაობას ახლად გახსნილ სახელოსნოში მექანიკოსის თანაშემწის თანამდებობაზე.

— სახელოსნო მოუწყობელი იყო, — ამბობს ამხ. ხვადაგიანი, — გვაკლდა მთელი რიგი იარაღები, არ გვქონდა საჭრელა, სახვრეტი და სხვ. დაზგები, უამისოდ კი შეუძლებელი იყო იმ უამრავი დაკვეთების შესრულება, რომლებსაც ვიღებდით გვირაბებისათვის. უბნის უფროსის წინადადებით შევუდექით სახელოსნოს მოწყობას, ჩავიტანეთ ზაჰესიდან დაზგები, იარაღება. მაგრამ გვაკლდა კვალიფიციური ხელოსნები. მიზნად დავისახე ხელოსნები თვით ჩვენვე აღგვეზარდა. ამოცანა წარმატებით გადავწყვიტეთ.

ამხ. ხვადაგიანი კმაყოფილებით იგონებს იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც მის ხელში გამოუვლიათ და ცოდნა შეუძენიათ.

1932 წელში ვლასი ხვადაგიანი დანიშნეს რიონჰესის მეორე უბნის სამექანიკო სახელოსნოს გამგედ. ამავე წელს ამხ. ვლასის, რიონჰესის პარტ - სამეურნეო ორგანიზაციების წარდგენით, რიონჰესის მშენებლობაზე განსაკუთრებული დამსახურებული მუშაობისათვის, საქართველოს ცაკის დადგენილებით მიენიჭა შრომის გმირის სახელწოდება. ამხ. ვლასი ცაკის ამ საპატიო ნიშანს ამაყად ატარებს.



ამხ. ვ. ხვადაგიანი

ბევრი რამ გააკეთა ამხ. ვლასიმ რიონჰესის მშენებლობის დაჩქარებისათვის. მრავალი შემთხვევა ყოფილა, როდესაც რიონჰესის სადერივაციო არხზე მომუშავე მრავალჯამიან გერმანულ ექსკავატორს ნაწილები დაზიანებია, საჭირო ყოფილა მისი შეკეთება დიდ სახელოსნოში, მაგრამ ამხ. ვლასის იგი ადგილობრივ სახელოსნოში შეუკეთებია.

აი თუ გინდ მიმდინარე წლის ერთი შემთხვევა:

სათავეზე მძლავრად მოწოლილმა წყალმა გალუნა ფარის ჯალამბარის ღერძი. მისი გასწორებისათვის საჭირო იყო დიდი სახელოსნოს მექანიკური დაზგები, ეს კი დიდ დროს მოითხოვდა. ამხ. ვლასიმ იკისრა ამ ღერძის ადგილობრივად შეკეთება. ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა. ღერძი სამ დღეში გამართა.

მეორე უბანში გაფუჭდა წყალსაქაჩის მანქანა. მესამე და მეოთხე უბნები წყალს ვეღარ ღებულობდენ. შეჩერდა მუშაობა. მთელ ღამეს ამხ. ვლასი თავის ხელოსნებით თავს დასტრიალებდა წყალსაქაჩის მანქანას და დილის 6 საათზე იგი უკვე მზად იყო.

ასეთი „მოულოდნელობა“ მრავალია ვლასის მუშაობის პრაქტიკაში.

გარდა იმისა, რომ ვლასი ხვადაგიანი შრომის დიდი ენტუზიასტია და მუდამ სახელოსნოში ტრიალებს მას არ ავიწყდება სწავლა, თვითგანვითარება. „სწორედ ახლა მაქვს დრო ავამაღლო ჩემი ცოდნა“ — ხშირად ამბობს ის.

ამხ. ხვადაგიანი 1934 წელში რიონჰესის პარტორგანიზაციამ მიიღო თანამგრძნობთა ჯგუფის წევრად, ის პოლიტსკოლის საუკეთესო მსმენელია, გარდა ამისა, დადის ტექმინიმუმის წრეში და თვითაც ამაცადინებს რამდენიმე ახალგაზრდას.

რიონჰესში მუშაობა მთავრდება. საით აპირებთ წასვლას?

— რასაკვირველია, ხრამჰესში — ღიმილით მიპასუხა ვლასიმ. ახლა ხრამჰესი საჭიროებს სამექანიკო დარგის მუშაკებს, შემდეგ ალბათ ნამახვანჰესს ვესტუმრები.

ვ. ლალიაშვილი.

1905 30 წლის წინათ

ჯავშნოსან „პოტიომკინის“ დროშა

მაღალ ანძაზე ამართული სისხლისფერი ალამით, რომელსაც წყნარად აშრიალებს ზღვის ქარი, „პოტიომკინი“ სტოვებს ნავთსადგურ ფეოდოსიას, გადის ზღვაში და რუმინეთის ნაპირებისაკენ გასწევს. ეს აჯანყების ფინალია. მანამდე კი, ეკრანზე გაირბენს აჯანყებულ მეზღვაურთა მკაცრი, ენერგიული სახეები, მატლებით სავსე აშმორებული ხორცი და აყროლებული „ბორში“, რაც აჯანყების საბაბი შეიქმნა,

ყველაფერი ეს დოკუმენტალური სიზუსტით მხატვრულად აღსდგა ეიზენშტეინის ნიჭიერ კინო სურათში „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, რომელიც მთელმა ქვეყანამ დიდი აღელვებით ნახა.

ყველაფერი ეს, რაზეც ეკრანი მოგვითხრობს, ამ 30 წლის წინათ ნამდვილ მოქმედებათ გაიშალა მეფის ფლოტის უდიდეს ჯავშოსანზე. „პოტიომკინი“ უზარმაზარი სამხედრო გემი იყო მის მეზღვაურთა მოწინავე ნაწილი 1905 წ. რევოლუციის დასაწყისშივე მოექცა ბოლშევიზმის გავლენის ქვეშ და მხარს უჭერდა და თანაუგრძნობდა რევოლუციური ამბების განვითარებას.

აუტანელი პირობებისა და სასტიკი მოპყრობის გამო, რაც მეფის არმიასა და ფლოტში იყო მაშინ, მეზღვაურები კიდევ უფრო აქტიურ რევოლუციურ ძალას წარმოადგენდენ. პარტიაც საუკეთესო ადამიანებს გზავნიდა მათთან სამუშაოდ და მათ დასარაზმავად რევოლუციის მხარეზე.

„პოტიომკინის“ აჯანყებას წინ უსწრებდა მთელი რიგი გამოსვლები შავი ზღვის ფლოტში და დიდი ორგანიზაციული მუშაობა მომავალი აჯანყებისათვის. მეზღვაურები მოითხოვდენ სამსახურის ვადის შემცირებას შვიდიდან 3 წლამდე, ხელფასის გადიდებას, კვების გაუმჯობესებას და სხვ.

აჯანყების მოწყობა გადასწყვიტა შავი ზღვის მეზღვაურთა არალეგალურმა ორგანიზაციამ „ფლოტსკაია ცენტრალკამ“, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა გემების მეზღვაურთა დეპუტატებს.

გეგმით გამოსვლა უნდა დაეწყო „ეკატერინე მეორეს“, მაგრამ აჯანყების დროშის ამართვა წილათ ხვდა ჯავშნოსან „პოტიომკინს“, რომელზედაც ივნისის ბოლო რიცხვებში შეიქნა მეტად დაძაბული მდგომარეობა და უკიდურესამდე გამწვავდა მეზღვაურთა და ოფიცერთა ურთიერთობა.

აჯანყების დღეს — 27 ივნისს, შავი ზღვის ფლოტის თითქმის ყველა გემი თავმოყრილი იყო კუნძულ ტენდერთან, სადაც სასწავლო მანევრები ტარდებოდა. „პოტიომკინზე“, რომელიც ამ დღეს კუნძულთან მივიდა, მოამზადეს სადილი მატლებიანი ხორციდან. ამან, ისედაც დამცირებულ მეზღვაურებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ უარი განაცხადეს სადილზე.

მაშინ, ჯავშნოსანის უფროსმა გოლიკოვმა შეჰყარა მეზღვაურები გემის ბაქანზე, დააწყო ერთ ხაზზე და უბრძანა წინ გამოსულიყვნენ ისინი, ვისაც სურდა სადილის ჭამა. მოწინავე, რევოლუციონერ მეზღვაურთა ნაწილმა — 30 კაცმა იფიქრა, რომ აჯანყების დრო ჯერ კიდევ არ იყო და გამოვიდა წინ. მაგრამ გოლიკოვს ეს „მორჩილება“ სრულებითაც არ უნდოდა. მას სურდა ტყვიით გასწორებოდა ამ მოწინავე ადამიანებს და იქვე გასცა განკარგულება მათი დახვრეტის შესახებ.

მაშინ, ამით აღშფოთებულმა მეზღვაურმა ვაკულინჩუკმა ხმამაღლა შესძახა

— ძმებო! ნუთუ თქვენ გვესვრით ჩვენ?

მეზღვაურებმა უარი თქვეს საკუთარი ძმების დახვრეტაზე. მხოლოდ უფროსმა ოფიცერმა გილიაროვსკიმ მოასწრო ესროლა მეზღვაურ ვაკულინჩუკისათვის და მოჰკლა ის. ეს უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ მეზღვაურები სასწრაფოდ შეიარაღებულიყვნენ, დაემატიმრებიათ გამხეცებული ოფიცრები და ზოგიერთი მათგანი დაეხვრიტათ კიდეც და ამრიგად აღემართათ აჯანყების წითელი დროშა. ასეც მოხდა. ჯავშნოსანი ხელში ჩაიგდეს აჯანყებულმა მეზღვაურებმა მამაცი ათანასე მატუშენკოს მეთაურობით და ოდესისაკენ გასწიეს.

მეორე დღეს, მეზღვაურ ვაკულინჩუკის დასაფლავება, რასაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო, გადაიქცა აჯანყებულ მეზღვაურთა და ოდესის გაფიცულ მუშათა დაძმობილების მძლავრ დემონსტრაციად.

პირველ ხანებში „პოტიომკინს“ გადაწყვეტილი ჰქონდა შეერთებოდა ოდესის მუშებს და ხელში ჩაეგდო ქალაქი. მაგრამ მერყევმა ელემენტებმა, რომელნიც ჯავშნოსანზე იყვნენ და მეფის მიერ ადმირალ ჩუხნინის მეთაურობით აჯანყებულთა წინააღმდეგ ესკადრის გაგზავნამ, ჩაფუშა ამ განზრახვის შესრულება. ჩუხნინის ესკადრა სამი ჯავშნოსანის და ოთხი ნაღმოსნის შემადგენლობით დიდხანს უტრიალებდა „პოტიომკინს“, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა მისი დამორჩილება, რადგან ჯავშნოსანი სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით იყო შეიარაღებული და მასთან მიახლოვება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა.

30 ივნისს „პოტიომკინს“ შეუერთდა აგრეთვე გემი „გიორგი პობედონოსეცი“, მაგრამ მან ორი დღის შემდეგ ისევ უღალატა აჯანყებულებს, ჩუმად ჩამოშორდა მათ და მთავრობას ჩაბარდა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა მერყეობა „პოტიომკინის“ მეზღვაურთა შორის, რომლებმაც 3 ივლისს უკვე რუმინეთის ნაპირებისაკენ გასწიეს.

აქედან ისინი გაემართენ ფეოდოსიისაკენ, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში ატარებდენ რევოლუციურ კრებებს, მაგრამ ქალაქის ხელში ჩაგდება, რაც განზრახულ ჰქონდათ, ვერ მოახერხეს. მათ ისევ გადაწყვიტეს უკან, რუმინეთში წასვლა. და მართლაც, რამოდენიმე ხნის შემდეგ ჯავშნოსანი მიადგა ნავთსადგურ კონსტანცას. მეორე დღეს — 8 ივლისს კი, იგი ჩაბარდა რუმინეთის მთავრობას. მეფის ჯალათებმა მოახერხეს „პოტიომკინის“ მეზღვაურთა ნაწილის ხელში ჩაგდება და მხეცურად დახოცეს ისინი.

მიუხედავად დამარცხებისა, „პოტიომკინმა“ დიდი როლი ითამაშა 1905 წლის რევოლუციური ამბების განვითარებაში, განსაკუთრებით არმიასა და ფლოტში. ამ ჯავშნოსანის აჯანყებას ლენინი აფასებდა, როგორც ახალ დიდ ნაბიჯს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში და სიხარულით აღნიშნავდა, რომ „პოტიომკინს“ გამოეხმაურენ სხვა სამხედრო გემები, რომ რევოლუციის ცეცხლი თანდათან ღვივდებოდა არამარტო მუშათა და გლეხთა, არამედ ჯარისკაცთა და მეზღვაურთა შორისაც.

ქ. ლ.

25, 26, 27 ივნისი

#**ლენინმა** გაზ. „პროლეტარის“ მეხუთე ნომერში გამოაქვეყნა თავისი ცნობილი სტატიები: „ბურჟუაზიული გამცემლობის ახალი ნაბიჯები“ და „რევოლუციონერები“ თეთრ ხელთათმანებში“.

#**ოდესაში** ჯავშნოსან გემ „პოტიომკინზე“ დაიწყო აჯანყება.

#**ოდესაში** დაიწყო საყოველთაო გაფიცვები და ამ ნიადაგზე მუშებსა და კაზაკებს შორის მოხდა შეტაკებანი.

#**ლოძში** მუშათა საბარიკადო ბრძოლების გამო გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა და მუშათა აჯანყება სისხლში იქნა ჩახშობილი.

#**ვარშავაში.** ლოძის ამბების გამო, გრძელდებოდა საყოველთაო გაფიცვა და იმართებოდა მუშათა დიდი დემონსტრაციები, რასაც მოჰყვა ჯარებთან შეტაკება და საბარიკადო ბრძოლებიც.

#**ჩენსტოხოვში** ლოძის ამბების გამო გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა.

#**ნიკოლაევში** კაზაკებმა სცემეს მუშებს.

#**იუზოვკის** ქვანახშირის მაღაროების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

#**ხარკოვის** გუბერნიაში ფართო ხასიათი მიიღო გლეხთა გამოსვლებმა მემამულეთა წინააღმდეგ.

#**ამხ. სტალინის** ხელმძღვანელობით ხონში დაიწყო პარტიული დისკუსია მენშევიკების წინააღმდეგ, რაც უკავშირდებოდა პარტიის მესამე ყრილობის შედეგების დამუშავებას.

მეაბრეშუმეებს ასე არ უნდა ექცეოდნენ

(ფოთი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ფოთის რაიონში უკანასკნელ ხანებში იმატა პარკის შემოსვლამ. სოფლებიდან ყოველდღიურად შემოდის 800 კილოზე მეტი პარკი.

არიან დამკვრელი მეაბრეშუმეები, რომლებიც ჭიის საუკეთესო მოვლით პარკის ჩაბარების გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, **ალათი სახოკიამ** ნახევარი კოლოფი თესლიდან პუნქტს 48 კილო პარკი ჩააბარა. პარკი გეგმების გადამეტებით ჩააბარეს აგრეთვე **ზ. აფხაზავამ, პ. ოლენცმა, ლ. წილოსანმა, ქ. მესხმა** და სხვა.

არის თუ არა მზად ფოთის პუნქტი პარკის უხვი მოსავლის მისაღებად? სამწუხაროდ, არა.

უხეირო დარაბა, ჭუჭყიან იატაკზე დაყრილი პარკი, სხვადასხვა ჯგუფის პარკი ერთმანეთში არეული. პუნქტის შესასვლელთან ორი მაგიდა დგას (ქვითრის გამომწერისა და მწონავისათვის). მაგიდების გარშემო თავი მოუყრიათ მეაბრეშუმეებს პარკით სავსე კალათებით.

ლანძღვა და აყალმაყალი—აი რა ხდება ფოთის მიმღებ პუნქტში.

მაინც რაზე დაობენ მეაბრეშუმეები? ზოგისათვის წონაში დაუკლიათ, ზოგის პარკი კარგად არ დაუხარისხებიათ... მეაბრეშუმეები უკმაყოფილო არიან დამხარისხებელ **თამარ ახვლედიანის** მოქმედებით და მათი უკმაყოფილება სავსებით სამართლიანია.

ამას წინათ **ივლიტა ქადარიამ** პუნქტში მიიტანა 32 კილოგრამი ერთნაირი ხარისხის პარკი. აქედან თ. ახვლედიანმა 25 კილო პარკი მესამესა და 7 კილო მეორე ხარისხად მიიღო. ქვითარიც ასე გამოწერეს. ასევე მოექცნენ ნადია გვაძაბიას და ზოგიერთ სხვასაც.

მიმღებ პუნქტს არა ჰყავს საკმარისი კადრები. ჭიანურდება პარკის გადაზიდვა ფოთიდან სენაკამდე. ვაგონები თავის დროზე არ მოდის. ვაგონების მოლოდინში კი კალათებში ჩაყრილი პარკი მთელ ღამეს პუნქტში რჩება. პარკი ხურდება და ხარისხიც ეცემა.

სენაკის რაიაბრეშუმის გამგე ამხ. ფახულია ყოველივე ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

განა აბრეშუმს და მეაბრეშუმეებს ასე უნდა ექცეოდნენ?!

ეგნატე გვასალია.

ვალ. მგალობლიშვილი □ □ □ □ □

თვითკრიტიკის ლოზუნგი სცენაზე

მარჯანიშვილის თეატრის მიმდინარე სეზონი უფრო მრავალფეროვანი და მდიდარი იყო, ვიდრე წინა წლების. მთელი რიგი დადგმებით („ესკადრის დაღუპვა“, „ვერაგობა და სიყვარული“ და სხვ.) თეატრის კოლექტივმა გამოამჟღავნა მაღალმხატვრული ნიჭი და გვიჩვენა, როგორც საბჭოთა, ისე კლასიკური დრამატურგიის ნიმუშების დაუფლების უნარი.

უკანასკნელად, თეატრმა მოამზადა და დადგა გ. ბააზოვის პიესა „განურჩევლად პიროვნებისა“ (რეჟისორი ნ. გოძიაშვილი), რითაც, საერთოდ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.

ბააზოვის ეს პიესა საინტერესოა, როგორც ორიგინალურ ქართულ დრამატურგიაში ერთგვარი თემატიური სიახლის შემტანი. ავტორი ცდილობს თვითკრიტიკის საკითხი დააყენოს მიუხედავად პიროვნებისა, კერძოთ გადიდკაცებულ კომუნისტებზე ამხ. სტალინის მითითების ასპექტში.

საწარმოო თემა აქამდე მეტისმეტად სუსტად არის წარმოდგენილი ქართულ ორიგინალურ დრამატურგიაში. და ეს პიესა პირველი ნაბიჯია იქითკენ, რომ ქართულ სცენაზე აისახოს სოციალისტური საწარმო და მისი მრავალფეროვანი ცხოვრება.

ამდენად, პიესა ძირითადათ დამაკმაყოფილებელია და საერთოდ გამართული. მაგრამ ეს სრულებით არ გამორიცხავს იმას, რომ პიესას არ ჰქონდეს მთელი რიგი სერიოზული ნაკლი, რაზედაც ჩვენ ამხანაგურად გვინდა მივუთითოთ ავტორს და თეატრს.

ცნობილია მე-17 პარტყრილობაზე ამხ. სტალინის გამოსვლის ის ადგილიც, სადაც იგი წარსულში დამსახურებულ და აწმყოში გადიდკაცებულ ადამიანებს შეეხო. ამხ. სტალინმა მისთვის ჩვეული გენიოსური სიცხადით და სისადავით მკაფიოდ ჩამოაყალიბა მათდამი პარტიის დამოკიდებულების ხაზი. „მუშაკთა ერთი ტიპი — ამბობს ამხ. სტალინი — ესენი არიან წარსულში განსაზღვრული დამსახურების მქონე ადამიანები, ადამიანები, რომელნიც დიდკაცებად იქცენ. ისინი ფიქრობენ, რომ პარტიული და საბჭოთა კანონები დაწერილია არა მათთვის, არამედ ბრიყვებისათვის. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთაც თავის მოვალეობად არ მიაჩნიათ შეასრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი და, ამნაირად, ანგრევენ პარტიულ და სახელმწიფოებრივი დისციპლინის საფუძვლებს. რისი იმედი აქვთ მათ, როდესაც პარტიულ და საბჭოთა კანონებს არღვევენ? მათ იმის იმედი აქვთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ძველი დამსახურების გამო, ვერ გაბედავს ხელი ახლოს მათ. ეს გაამპარტავნებული დიდკაცები ფიქრობენ, რომ ისინი უბადლონი არიან და ამიტომ შეუძლიათ დაუსჯელად დაარღვიონ ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი“. და ამხ. სტალინი იქვე მიუთითებს, რომ ეს ადამიანები უყოყმანოდ უნდა მოიხსნან ხელმძღვანელ პოსტებიდან, უნდა ჩამოქვეითდენ, რომ ამით განმტკიცდეს პარტიული და საბჭოთა დისციპლინა.

ასეთი გაამპარტავნებულ და გადიდკაცებულ ძველი რევოლუციონერის (საკითხავია: რატომ მიიღო მან **შრომის ორდენი? რევოლუციური წარსულისათვის შრომის** ორდენით ხომ არ აჯილდოვებენ არავის) ტიპს პიესაში ზურაბ მაღლაკელიძე უნდა წარმოადგენდეს. უნდა წარმოადგენსთქო, იმიტომ რომ სწორედ ამ მხრივ, **პარტიული და საბჭოთა კანონების თვითნებურად დარღვევის** მხრივ, მისი ფიგურა **სრულყოფილად** არ არის მოხაზული. სამაგიეროდ, იგი უფრო დამაჯერებელია **ყოფაცხოვრებითი გახრწნის მომენტებში.** ავტორს და თეატრსაც ენერგია არ დაუზოგავთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება დამაჯერებლად და სისრულით, მრავალფეროვნებში ეჩვენებინათ მაღლაკელიძის უმთავრესად ყოფაცხოვრებითი გახრწნა. და ამის ხაზგასმას ხარჯზე იჩრდილება სწორედ მთავარი მომენტი, — ძველი პროლეტარული რევოლუციონერის, როგორც სახელმწიფო და სამეურნეო მუშაკის — გადიდკაცება, რაზედაც ამხ. სტალინი ლაპარაკობდა. ამგვარად, ამხ. სტალინის სიტყვა პიესაში არ არის სწორად გაგებულ

□ იქმნება შთაბეჭდილება, რომ პიესაში წამოყენებულია პარტიის ძველი გვარდიის ყოფაცხოვრებითი გახრწნის პრობლემა. ეს არის პოლიტიკური შეცდომა: ეს პრობლემა არ დგას — და არც შეიძლება იდგეს პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე. კერძო შემთხვევის განზოგადოება ყოვლად დაუშვებელია და გაუმართლებელი.

ეს არის პიესის მთავარი ნაკლი და მისი გამოსწორება ნიშნავს — **ხაზი გაესვას** მაღლაკელიძის არა იმდენად საყოფაცხოვრებო გახრწნას, რამდენადაც, **მის როგორც ძველი რევოლუციონერის და სამეურნეო მუშაკის გადაგვარებას და გადიდკაცებას.** სპექტაკლისათვის ეს ნიშნავს იმ დიდი პორნოგრაფიული დოზის მაქსიმალურად შემცირებას, რითაც გაჟღენთილია პიესა.

მაღლაკელიძის წინააღმდეგ, რომელმაც დაჰკარგა კლასობრივი ალღო, ხმას იმაღლებს მხოლოდ ორი კომუნისტი და ერთი უპარტიო მუშა. მაღლაკელიძე ამას უკვე ჯგუფობრივ ბრძოლად ნათლავს. და ნუ გაგიკვირდებათ, თუ მაღლაკელიძეს პირველ ხანებში უჭერიან პარტიული კონტროლის ორგანოებიც. და ეს იმიტომ, რომ სტამბის მუშათა მთელ მასაში **მხოლოდ სამი** კაცი ალაპარაკდა ამ საქმეზე. დანარჩენები ან სდუმან, ან მაღლაკელიძეს უჭერენ მხარს. რასაკვირველია, ვითარების ამგვარად წარმოდგენა იქ, სადაც **განზოგადოებასთან** გვაქვს საქმე, შეუძლებელია, შეუძლებელია, რომ მთელ პარტიულ ორგანიზაციაში მხოლოდ ორი ადამიანი აღმოჩნდეს მოწოდების სიმაღლეზე, რომ ამხ. სტალინის მითითების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რაც პირველ რიგში კომუნისტებს შეეხებათ, უპარტიო თეთრაძე იყოს ავანგარდი!

არ შეიძლება აქვე არ შევნიშნოთ თეთრაძეზე. მას 16 წლის საწარმოო სტაჟი აქვს. სტამბაში სამაგალითო დამკვრელად ითვლება. და ეს ერთად-ერთი ადამიანი უპარტიო მასიდან, რომელიც პარტიასთან ძლიერ ახლო დგას, არა პარტიული ბოლშევიკია და წარმოადგენს გადაგვარებული ძველი ბოლშევიკის დაპირისპირებას, **ღვდლის შვილია.** რატომ მაინცდამაინც მისი გამოყვანა დასჭირდათ სწორედ ღვდლის შვილად? რატომ არ შეიძლებოდა ასეთი (ღვდლის შვილი) თუ გინდა ხვიჩია ან სხვა ზარმაცი ყოფილიყო?, ეს არის პიესის მეორე მნიშვნელოვანი ნაკლი.

სცენა საკონტროლო (თუ პარტიული კონტროლის? პიესა ხომ მე-17 პარტყრილობის შემდეგ არის დაწერილი?) კომისიაში მოკლებულია დამაჯერებლობას და ბუნებრიობას. პარტიული კონტროლის კომისია კომუნისტებს და ყველა პატიოსან უპარტიო მშრომელს მიაჩნიათ პარტიულ სინდისის განსახიერებად, წმინდათა წმინდად, სადაც შეიძლება საკუთარი გული გულწრფელად გადაუშალო ამხანაგებს და სადაც ყოველთვის აღსდგება ნამდვილი სიმართლე. ეს ასეა ცხოვრებაში.

პიესაში, საკონტროლო კომისიის გამომძიებელი, კომუნისტი, ადამიანის რაღაც სქემას უფრო წარმოადგენს, ვიდრე პარტიულ მუშაკს, რომელიც ზრუნავს ადამიანებზე და გულისხმიერად ეპყრობა მათ. მიუხედავად მსახიობ ჯაფარიძის ცდისა, მოეცა უბრალოება და თავმდაბლობა პარტიული გამომძიებლისა, რომელიც გულში წვდება მასთან მისულ ადამიანებს, ეს მიზანი მაინც მიუღწეველი რჩება.

მაღლაკელიძემ დანიშნა პარტორგანიზაციის კრება, რომ შური იძიოს და პარტიიდან გარიცხოს ორი კომუნისტი, მისი მოადგილე კორნელი შანიძე, და პარტკომის მდივანი კანტორი, რომელნიც ალაპარაკდენ მის წინააღმდეგ. ეს არის პარტორგანიზაციის ღია კრება, რომელსაც უპარტოები ესწრებიან, და ისინიც აქტიურად მონაწილეობენ პარტიიდან კომუნისტების გარიცხვაში. ეს აშკარა შეცდომაა, ალბად ავტორის მიერ (თეატრი სად არის?) საკითხის უცოდინარობით გამოწვეული. ჩვენ ეს მიგვაჩნია პიესის მნიშვნელოვან ნაკლად.

არის სხვა ნაკლიც (მაგ. პირველ მოქმედებაში — გადამეტებული დაცინვა კომუნისტურ ეთიკასა და საერთოდ პარტიაზე ლიდას მხრივ, რომელიც უპასუხოდ რჩება), რაც პიესას თან ახლავს, მაგრამ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

დრამატურგიულად პიესა არ წარმოადგენს ავტორის წინსვლას. მიუხედავად ცდისა, ავტორს თავი ვერ გაუნთავისუფლებია ჩვეულებრივი ტრაფარეტისაგან, რითაც ხასიათდება საერთოდ ძველი პიესები. ჩვენ ვლაპარაკობთ „სამკუთხედზე“ (ცოლი, ქმარი, საყვარელი), რომლის ტრადიცია ჯერ კიდევ მხრებზე აწევს ზოგიერთ საბჭოთა დრამატურგს. მაგრამ ამ მხრივ აქ არის ერთგვარი ცდა გადალახულ იქნას ეს ჯებირი, ავტორი ცდილობს ოჯახის პრობლემა დაუკავშიროს საწარმოო თემას, მაგრამ ეს ცდა, როგორც ის პიესაშია, მეტად უფერული და შეიძლება ითქვას ზიანის მომტანიც არის, (მართლაცდა გასაკვირია: კომუნისტი მაღლაკელიძე უკვე მეოთხე ცოლს ეპოტინება, კომუნისტ შანიძეს ცოლმა უღალატა, კომუნისტს კანტორსაც გაექცა ცოლი).

მშრალ, სქემატურ ფორმებშია მოცემული თვით წარმოება. თანამედროვე სოციალისტური საწარმო, მისი მრავალფეროვანი და შინაარსიანი ცხოვრებით, სიხალისით, გატაცებით და რიტმით პიესაში დაყვანილია უსიცოცხლო სტამბამდე, სადაც ცოცხალი ადამიანები თითქმის არ ჩანან, და რაც არის — ისიც **ნაკლებ ადამიანურია.**

პიესის სიტყვიერი მასალა მეტად ერთფეროვანი და მშრალია. ამიტომ პიესაში ბევრი ადგილი მშრალი აგიტკის შთაბეჭდილებას სტოვებს და მოკლებულია მხატვრულ დამაჯერებლობას.

მაგრამ ამ საერთო ნაკლს ერთგვარად ასწორებს რეჟისორის მოხერხებული ხელი. ეს დადგმა წარმოადგენს მარჯანიშვილის თეატრის ტრადიციული ხაზის (სცენის ნაკლებად დატვირთვა, სადა, მოხერხებული დეკორაციები) გაგრძელებას. ამდენად დადგმა არ არის მოკლებული წარმატებას, მაგრამ სქემატიზმი, განსაკუთრებით სტამბის საწარმოო ცხოვრების ჩვენებაში, აქაც იჩენს თავს.

სპეტაკი ბოლშევიკის, ძველი მუშის რეალურ სახეს უსათუოდ ქმნის **მ. სარაული** (კორნელი შანიძე). მით უფრო დამაჯერებელია მისი თამაში იმიტომ, რომ იგი არაა დატვირთული ზედმეტი „მოფილოსოფოსო“ მსჯელობით და მოჩვენებითი სიბრძნით, როგორც ეს შეიძლება კანტორზე (მსახიობ გომელაური) ითქვას. თუ სტამბის ფონს ასე თუ ისე რეალურ — ადამიანური ელფერი დაჰკრავს, ამაში უმთავრესად უნდა ვუმადლოდეთ **ნ. გოცირიძის** (დემირჩიანი) და **ლ. ჩერქეზიშვილის** (პელაგია) შესანიშნავ თამაშს, გ. **შავგულიძის** (თეთრაძე) და კვანტალიანის უბრალოებას, რითაც მათ დამაჯერებლად მოხაზეს — ერთმა — უპარტიო დამკვრელის და მეორემ უპარტიო ზარმაცის ტიპები.

პიესა საჭიროებს შესწორებას, გადახალისებას, ამის შემდეგ იგი დაიკავებს მნიშვნელოვან ადგილს ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში.

როგორ მუშაობს სოფლის საბჭო

გეგმების და ინსტრუქციების მიცემით კმაყოფილდებიან

აბაშა (საკ. კორ.). ახალაბაშის სასოფლო საბჭო თითქმის არაფერს არ აკეთებს ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად. დღემდე მხოლოდ ორიოდე მუხლი შეასრულეს. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. აპ. კაჭარავა გვამშვიდებს: —„ჯერ ადრეა, ყველაფერი მოესწრებათ“.

საბჭოს სექციები და სადეპუტატო ჯგუფები სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. თუ რამე კეთდება, მხოლოდ საბჭოს მომუშავეთა საშუალებით.

საბჭოში 9 სექციაა. საგზაო სექციამ (ხელმძღვანელი პ. თოფურია) შეიმუშავა და დააზუსტა 1935 წ. საგზაო მშენებლობის გეგმა, აღრიცხა ბეგარავალდებული მეურნეები და ცოცხალი გამწევი ძალა. და ამით გაათავა საქმე. მემინდვრეობის სექციის (ხელმძღვანელი სიმონია) მუშაობა ერთი სხდომით და ორი საკითხის გარჩევით ამოიწურა. ასევე „მუშაობენ“ სანიტარული სავაჭრო, საფინანსო და სხვა სექციები.

სახარბიელო მდგომარეობა არც სადეპუტატო ჯგუფების მუშაობაშია. ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ მუშაობენ სადეპუტატო ჯგუფები, საბჭოს თავმჯდომარე კაჭარავამ გვიპასუხა: „კოლმეურნეობებში გამოყოფილია სადეპ. ჯგუფები, მაგრამ ისინი არ მუშაობენ. ჯგუფებს გეგმები გადუგზავნეთ, პაკეტი მივეცით, გადაბეჭდილი ინსტრუქციები ჩავაბარეთ, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა“. როცა საბჭოს თავმჯდომარე საკითხს ასე აყენებს, უკვე აშკარა ხდება, რომ კანცელარიობას ღრმად გაუდგამს ფესვი:

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კონტროლს არ უწევს სექციებსა და სადეპუტატო ჯგუფებს; მათი მოხსენებები არ ეკითხება საბჭოს სხდომებზე. მაგ., დღემდე არ მოუსმენიათ სავაჭრო-საფ. რევოლუციური კანონიერების, თავდაცვის, საგზაო და სხვა სექციების მოხსენებები. საბჭოს თავმჯდომარემ და პრეზიდიუმმა ვერ შესძლეს საბჭოს წევრთა და აქტივის დარაზმვა განაწესის და სხვა დავალებათა შესრულების მიზნით.

რამდენიმე თვის წინათ ახ.-აბაშის საბჭოს მუშაობა განიხილა სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, და აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები. ცაკის დადგენილება რაიაღმასკომს გაეგზავნა. რაიაღმასკომმა სასოფლო საბჭოს გადაუგზავნა. სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ დადგენილება საიმედო ადგილას შეინახა და გათავდა საქმე. ამიტომ საბჭოს წევრებმა ამ დადგენილების შესახებ დღემდე არაფერი იციან.

საბჭოს საკანცელარიო საქმეები აბნეულია. ერთნახევარი წლის განმავლობაში საბჭომ ექვსი მდივანი გამოიცვალა. რაიაღმასკომი და სასოფლო საბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კადრების შენარჩუნებას და მათ აღზრდას.

ახალ-აბაშის სასოფლო საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნას მუშაობა. ხოლო რაიონულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ამ სასოფლო საბჭოზე.

პრ. ზვაზავა.

კურორტების მეცნიერული შესწავლა

საქართველო დიდი და იშვიათი ბუნებრივი კურორტების ქვეყანაა.

ჩვენი ხელისუფლება ყოველწლიურად ათეულ მილიონებს აბანდებს ახალი კურორტების მშენებლობაზე და სამეცნიერო - საგამოკვლევო სამუშაოებზე.

ხდება ცალკე კურორტთა სამკურნალო პროფილის განსაზღვრა. იკვლევენ მათ დადებითსა და უარყოფით თვისებებს, ჰიდრო-გეოლოგიურ სამუშაოებს; სწავლობენ მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებს, ქიმიური თვალსაზრისით, კურორტების ბიოკლიმატური თვისებებს; ხდება კურორტთა გენერალური დაგეგმვა და მათთვის სამედიცინო, პერსონალის მომზადება-გადამზადება. მთელ ამ მუშაობას ეწევა კურორტთა მთავარი სამმართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტი დოც. კონიაშვილის ხელმძღვანელობით.

წელს ამ ინსტიტუტს სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობისათვის 900 ათასი მან. მიეცა. ეს თანხა მოხმარდება ჰიდრო-გეოლოგიურ სამუშაოებს ბორჯომსა, წყალტუბოსა, ახტალასა, წაღვერსა და მენჯში.

უნდა გამოიკვლიონ ახალციხე-ადიგენის რაიონის, ახტალის ტალახის, კახეთის, ტფილისის, წაღვერის, წყალტუბოს, ბორჯომის და მენჯის მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობა და მათი დადებითი სამკურნალო მნიშვნელობა. ბორჯომსა, წყალტუბოსა და აბასთუმანში, როგორც ძირითად კურორტებზე წელს პირველად არის გახსნილი კლინიკური სანატორიუმები, სადაც ხდება ავადმყოფებზე დაკვირვება და მათი მეცნიერული მკურნალობა. ინსტიტუტი ფაბრიკა-ქარხნებიდან არჩევს სათანადო ავადმყოფს და გზავნის კურორტზე. მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ ხდება შერჩეულ ავადმყოფთა მკურნალობის შედეგების აღრიცხვა და დამუშავება. წელს შესწავლილ და გამორკვეულ უნდა იქნას 27 ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტის ბუნებრივი, სამკურნალო და ეკონომიური მნიშვნელობა.

ცალკე მეცნიერულ საკითხთა დამუშავების მიზნით მოიწვიეს კავშირის გამოჩენილი პროფესორ-კურორტოლოგები, რომლებმაც უნდა დაამუშაონ 15 მეცნიერული თემა და განსახილველად წარუდგინონ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს. მიმდინარეობს (და ნაწილობრივ შესრულებულია ქობულეთის, ბორჯომის, წყალტუბოს, ტფილისის ბალნეოლოგიური კურორტის და ჯავა - საურის გენერალური გეგმის შედგენა. გარდა თავისი ძირითადი სამუშაოებისა, ინსტიტუტი ხელმძღვანელობს აგრეთვე სამეცნიერო-საგამოკვლევო ცენტრებს აჭარისტანში, ბორჯომში და სხ.

ინსტიტუტის მიმდინარე წლის სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობის გეგმა ფრიად სერიოზულია. იგი დიდ ყურადღებას და ენერგიას მოითხოვს. უნდა ითქვას, რომ 5 თვის სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობის გეგმა წარმატებით შესრულდა; მაგრამ ამას არ უნდა დავჯერდეთ და უფრო მეტი ენერგიით, უნდა ვიმუშაოთ წლიური გეგმის შესასრულებლად.

ვ. მარგველაშვილი.

24 ივნისს კულტურის და დასვენების პარკში

სურათზე:—მარცხნიდან მარჯვნივ: საბავშვო რკინის გზის პირველი მემანქანე ვ. სოკოლსკი—მე-107 სკოლის მე-4 კლასის მოწაფე; მეჩონგურეთა ანსამბლი; ბავშვთა თამაში გარმონზე; ველოსიპედისტთა გუნდი.

საუცხოვო მაღაზია

— ჩინებული, საუცხოვო მაღაზიაა! — ასე ჩაუწერა შთაბეჭდილებების წიგნში ამხ. გერმან მგალობლიშვილმა „გასტრონომიის" საჩვენებელ სასურსათო უნივერსალურ მაღაზიას, რომელიც 25 ივნისს კიროვის ქუჩაზე, ა.-ქ. ფედერაციის მოედანთან გაიხსნა.

თავისი გარეგანი გაფორმებით, ლამაზად მორთული დახლით და ყაფაზებით, საქონლის მდიდარი ასორტიმენტით და მომხმარებლებთან ზრდილობიანი მოპყრობით, ეს მაღაზია მართლა სანიმუშოა არა მარტო ტფილისში, არამედ მთელ ამიერ - კავკასიაშიც.

მხატვარ ნადარეიშვილსა და ბუხიროვს. ინჟენრებს — ბურჭულაძესა და შადათოვს არაფერი დაუზოგავთ, რომ აქ ნამდვილი საბჭოთა კულტურული ვაჭრობა გაეჩაღდეს.

მაღაზიაში მოწყობილია მინის კედლებიანი დახლები, რომლებიც ამავე დროს მაცივრებიც არის. აქ მოთავსებული პროდუქტები არ წახდება. გასაყიდ პროდუქტებს ამზადებენ სპეციალური რეცეპტურით. იყიდება ოცდათერთმეტნაირი ძეხვი. ორმოცნაირი ნამცხვარი, ოთხმოცნაირი საკონდიტრო ნაწარმი, და სხვ. აქ გაიყიდება მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქტები. მაგ., კალმახი მაღაზიას ყოველდღე თვითმფრინავებით მოუვა სევანიდან.

მაღაზიის დირექტორმა ამხ. რინსბერგმა განაცხადა: — ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ზრდილობიან მოპყრობას მომხმარებლებთან და მათ გაზრდილ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას.

ამ მიზნით მაღაზია ფართოდ გამოიყენებს პროდუქტების ბინაზე მიტანისა და წინასწარ დაკვეთების პრაქტიკას.

სპეციალური ფურცლებით, გაზეთებით, რადიოთი და ბინებზე წერილების დაგზავნით, ყოველდღე ეცნობებათ მომხმარებლებს, თუ რა ახალი პროდუქტებია მაღაზიაში.

კვარტალის განმავლობაში მაღაზიამ უნდა გაჰყიდოს 7 მილიონი მანეთის პროდუქტები. პირველ დღეს, საღამოს 5 საათიდან ღამის 1 საათამდე მაღაზიამ გაყიდა 25 ათასი მანეთის პროდუქტები.

ერთი ნაკლი უნდა აღინიშნოს: წარწერები მარტო რუსულ ენაზეა. ქართულ წარწერას აქ ვერ შეხვდებით.

ეს შეცდომა მაღაზიის ხელმძღვანელებმა რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწორონ.

პარკის გახსნა

„კომუნისტის" გუშინდელ ნომერში ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ მოკლე ინფორმაცია პარკის გახსნის შესახებ.

ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკმა 24 ივნისს დილიდანვე გაუღო კარი ტფილისის მშრომელებს. მცხუნვარე მზისგან შეწუხებულნი ხალხი მრავლად მიაწყდენ. პარკის ხეივნები აფერადდა დამსვენებელთა ნაირნაირი სამოსით, ახმაურდა ათასი ხმის ჟივილ-ხივილით.

ყველაზე მეტ ხალხს მოუყრია თავი საბავშვო რკინისგზის სადგურთან. ელავენ პიონერთა წითელი ყელსახვევები, ამაყად შრიალებენ დროშები. სრულ 12 საათზე აკივლდა პარკის საყვირი. მას საყვირითვე გამოეხმაურა საბავშვო რკინისგზის პაწია ორთქლმავალი. პარკი გახსნილია. გუგუნებენ ორკესტრები, ხეივნებს ეფინება „ინტერნაციონალის" გამამხნევებელი, ბრძოლისაკენ მომწოდებელი ჰანგები.

„პიონერთა სადგურისაკენ" განუწყვეტლივ მოდიან ბავშვთა კოლონები. სტუმრებს ხვდებიან საბავშვო რკინისგზის აგენტები ლურჯ ხალათებსა და ლურჯ ბერეტებში. საბავშვო რკინისგზის მშენებლობის ფრიადოსანი, 14 წლის ჟენია მოსიენკო აცნობს დამსწრეთ პარკისა და რკინისგზის გახსნას. სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ალკკ ტფილისის კომიტეტის მდივანს ამხ. ლელინს.

— მხოლოდ საბჭოების ქვეყანაში შეიძლება ასეთი წამოწყების განხორციელება, რადგან არცერთი მთავრობა ბავშვების მიმართ იმდენ ყურადღებასა და მზრუნველობას არ იჩენს, რამდენსაც საბჭოთა ხელისუფლებაო.

შემდეგ სიტყვით გამოდის ა.-კ. რკინისგზის უფროსის მოადგილე ამხ. კალანდია, რომელიც აღნიშნავს ბავშვების დიდ გამარჯვებას. 225 დღის განმავლობაში ბავშვებმა ა.-კ. რკინისგზის სამმართველოს სპეციალისტებისა, ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნების მუშების დახმარებით შექმნეს საინტერესო პოლიტექნიკური სათამაშო. რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების მიერ ტექნიკის ათვისებას და რკინისგზელთა კადრების მომზადებასაო.

ბოლოს გამოქვეყნდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის, ა.-კ. პროფსაბჭოს და ტექნიკის დაუფლების საგზაო საზოგადოების დადგენილებანი საბავშვო რკინისგზის მშენებელთა დაჯილდოების შესახებ.

ინიციატივის გამოჩენისა და მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის დაჯილდოვებული არიან საპატიო სიგელებით მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის დირექტორი მ. რუსლანოვი, აღნიშნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მ. მარშაკი და ტექნიკური პროპაგანდის სექტორის გამგე ქ. ვაიხერმანი.

ტექნიკის დაუფლების საზოგადოების ნიშნებით დაჯილდოვებული არიან სახელოსნოების უფროსი ბოჩაროვი, ინჟ. გორიაჩკო, საზეინკლო-მექანიკური სამქროს ინსტრუქტორი ჩიკნოვეროვი, სადურგლო სამქროს ინსტრუქტორი ლოსკუტოვი და საბავშვო რკინისგზის დარაჯი დერგაჩოვი.

ტექნიკის დაუფლების საზოგადოების ნიშნებითა და სიგელებით დაჯილდოვებული არიან საბავშვო რკინისგზის მშენებლობის საუკეთესო დამკვრელები, რკინის გზის მე-11 სკოლის მოწაფეები პ. ბორისოვი, ნ. ტეროვანესოვა, შ. ხორავაშვილი, ტ. დიმიტრიევა, ქ. პაპიტაშვილი, თ. მურადოვა, პ. ასლანიდი, ზ. ჩხეიძე, ლ. ტერენტიევა, ვ. სოკოლსკი, ლ. ხოკოლოვსკაია გ. მურადიანი.

მშენებელთა დასაჯილდოვებლად განათლების კომისარიატმა გადასდო 3.000 მანეთი, ტექნიკის დაუფლების საზოგადოებამ—3000 მან., ა.-კ. პროფსაბჭომ—10 საგზური საბავშვო სანატორიუმებში, ხოლო საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა—სამი საგზური პიონერთა ბანაკ „არტეკში".

სიტყვები მოთავდა. გამოუძახეს საბავშვო მატარებლის პირველ მემანქანეს ვიტია სოკოლსკის (107 სკოლის მესამე კლასის მოწაფეა), მის თანაშემწეს სურენ მოუს (წელს დაამთავრა რკინისგზის საშუალო სკოლა), მატარებლის ბრიგადას და წინადადება მისცეს დაეკავებინათ თავიანთი ადგილი. პრესის წარმომადგენლები და სტუმრები მიიწვიეს სადგურის ბაქანზე. ირგვლივ ბაღის ხეივნები სავსეა ცნობისმოყვარე ბავშვებით, რომლებსაც სახე უბრწყინავთ რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინში.

რამდენიმე წუთის დაჭიმული ყურადღება, ლოდინის სასიამოვნო თრთოლვა და სადგურში შემოდის ლურჯ-მწვანე მზიანავი, მთლად ყვავილებით შემოსილი პირველი საბავშვო მატარებელი მსოფლიოში. სანახაობა იმდენად უჩვეულო, იმდენად მიმზიდველია, რომ დამსწრეთ სტიქიურად მოსკდება მქუხარე ტაში, რომელიც ორკესტრის ჰანგებთან შერეული დიდხანს აყრუებს მიდამოს.

მატარებელში გადასჭრა სადგურზე გაბმული წითელი ლენტი. „პიონერთა სადგურის" უფროსი 17 წლის კოვალიოვა მოძრაობას გახსნილად აცხადებს.

პირველ რეისზე მატარებელმა წაიყვანა ყველაზე ნორჩი მგზავრები, 5—6 წლის ბავშვები და ახალგაზრდა გამომგონებლები, მათ შორის ზაქარია ჩხეიძე (ნავთლუღის სადგურის უფროსის თანაშემწის შვილი) და აშოტ მურადიანი. ჩხეიძემ ჯერ კიდევ საბავშვო რკინისგზის მშენებლობის დასაწყისში გამოიგონა ელექტრონის სემაფორი, ხოლო სამი დღით ადრე გზის გახსნამდე—ვაგონების განათების მეტად ორიგინალური და საინტერესო საშუალება. მისი ორივე გამოგონება განხორციელებულია. მურადიანმა გამოიგონა ელექტრონის ისარი, ხოლო ათი დღით ადრე გზის გახსნამდე წამოაყენა წინადადება სიგნალიზაციის შესახებ, რომელიც საშუალებას აძლევს სადგურის უფროსებს, ყოველ წუთს იცოდნენ გზის რომელ ნაკვეთზე იმყოფება მატარებელი და რა მდგომარეობაშია ის.

მატარებელი მუშაობდა მთელი დღის განმავლობაში. 12-დან 2 საათამდე მან 15 რეისი გააკეთა და 500 მგზავრი გადაიყვანა. გზის ყველა ნაწილი შეუფერხებლად მუშაობდა. რკინისგზის მთელი პერსონალი ბავშვებისაგან შესდგებოდა. ბავშვი იჯდა ტელეგრაფის აპარატთანაც. პირველი დეპეშა, რომელიც მიიღო საბავშვო რკინისგზამ ა.-კ. რკინისგზის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. პავერმანისა და მისი მოადგილის ამხ. ჟორჟოლაძის მისალმება იყო.

— ა.-კ. რკინისგზის პოლიტგანყოფილება მხურვალე სალამს უთვლის საბავშვო რკინისგზის ახალგაზრდა მშენებლებს, მათ შესანიშნავ აღმზრდელებს და ნორჩ მგზავრებს—ჩვენს საუცხოვო ცვლას, — ეწერა მისალმებაში.

დეპეშა მიიღო 13 წლის ნატალია ტეროვანესოვამ, სწავლის და მშენებლობის ფრიადოსანმა.

★

საბავშვო რკინისგზა კულტურისა და დასვენების პარკში ერთად-ერთი გასართობი როდია. გასართობი იქ ბევრია. მათს გარშემო მთელი დღე უამრავი ხალხი ტრიალებდა. განსაკუთრებულ პატივში იყო საპარაშუტო კოშკი. მისი 30 მეტრის სიმაღლის ბაქნიდან განუწყვეტლივ იშვებოდნენ ხან ვაჟები, ხან ქალიშვილები. სამი საათის განმავლობაში კოშკიდან 250 კაცი გადმოხტა.

მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავდა ესტრადასაც. მიუხედავად სიცხისა, აქ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და გულდასმით ისმენდა ხალხური გუნდების სიმღერას.

ღრმა სკამები, ჰამაკები, ბილიარდი, ჰადრაკი, საქანელა—ყველა გარშემორტყმული იყო ჩვენი ქვეყნის ბედნიერი თაობით, რომელიც მთელის გულით, მთელის გრძნობით შეჰხაროდა სიცოცხლეს.

ის, რაც საღამოს იყო პარკში, არ მოსწრებია ტფილისს. ორმოცდაათ ათასზე მეტი კაცი მოვიდა ამ დღეს მუშტაიდში. ავსო ყველა ხეივანი, ყველა მოედანი. გასასვლელი ადგილი აღარ იყო დარჩენილი. ამას, ალბად არც პარკის ორგანიზატორები მოელოდნენ. ზღვა ხალხს აღარ ეყო არც ლიმონათი, არც ლუდი, არც ნაყინი. ბაღში გაისმოდა მხიარული სიცილი, ორკესტრების გუგუნი, და მოცეკვავეთა ყიჟინა, რომელიც ღამის ორ საათამდე არ შეწყვეტილა.

ტფილისს არ ჰქონდა კულტურისა და დასვენების პარკი.

ახლა აქვს.

საპარაშუტო კოშკი კულტურისა და დასვენების პარკში

სპორტი

ტფილისის ფეხბურთელები სოხუმში

ტფილისის ფეხბურთელთა პირველი ნაკრები გუნდი, რომელმაც მოგზაურობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, ამჟამად სოხუმშია და ფეხბურთის საკავშირო პირველობის გათამაშებისათვის ემზადება.

საბჭოთა კავშირში ტფილისის ფეხბურთელების მოგზაურობამ ნაყოფი გამოიღო. ფეხბურთელების თამაშის ტექნიკა შესამჩნევად გაუმჯობესდა.

18 ივნისს ტფილისის გუნდი ეთამაშა სოხუმის „დინამოს" ფეხბურთელებს. შეჯიბრებამ ტფილისელების აშკარა უპირატესობა გამოამჟღავნა და თამაშიც მათი გამარჯვებით დასრულდა 9:0.

სოხუმის მეზღვაური ფეხბურთელები ძლიერეს გუნდად ითვლებიან. უკანასკნელნი გამარჯვებულნი გამოვიდნენ შავიზღვის ქალაქებს შორის გამართულ ფეხბურთის პირველობის გათამაშებაში. ამის გამო ტფილისის ფეხბურთელებთან მათმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მთელი თამაშის განმავლობაში ტფილისელი თავდამსხმელები შეთანხმებული თამაშით ავიწროებენ მოწინააღმდეგეს; შეჯიბრება ადვილად მოიგეს 7:2.

26 ივნისს ტფილისის ფეხბურთელები მიემგზავრებიან ბაქოში, სადაც გაიმართავენ საკავშირო პირველობის გათამაშების პირველ შეჯიბრებას ბაქოს ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდთან.

—o—

ველოგადარბენა აშხაბადი—ტფილისი—მოსკოვი

24 ივნისს, დილით, ტფილისში ჩამოვიდნენ აშხაბად — ტფილის—მოსკოვის ველოგადარბენის მონაწილენი. რაზმის შემადგენლობაში 6 კაცია: კომანდირი გლუხოვი, მებამბე კოლმეურნე ყურბან კელი, მუხტუნ ნიაზოვი, ორას ყადიროვი და მუშები: სარქისოვი და ლუშკოვი.

გადარბენის მონაწილეთა მიერ გავლილი გზა აშხაბადიდან ტფილისამდე 1280 კილომეტრს უდრის. 658 კილომეტრი — ბაქოდან ტფილისამდე — გადარბენის მონაწილეებმა 50 სავალ საათში გაიარეს.

26 ივნისს, დილით, გადარბენის მონაწილენი ტფილისის ველოსპორტსმენების თანხლებით საქ. სამხედრო გზით გაემგზავრნენ ქ. ორჯონიკიძეში, და შემდეგ—მოსკოვისაკენ.

—o—

ბავშვები კურორტებზე

ბათომის ქალაქის საბჭოს განათლების განყოფილება ზაფხულზე ქვიშხეთში, ქობულეთსა და ცემში, გზავნის სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა 185 ბავშვს. (საქ. კორ.)

აზერბეიჯანელი პოეტები ხელოვნების მუზეუმში

[illegible] აბრუნდნენ აზერბეიჯანელი მწერლები, რომლებიც იქ გაემგზავრნენ ტექნიკური კულტურების საბჭოთა მეურნეობების დასათვალიერებლად.

აჭარისტანში მწერლები გაეცნენ მიწისძირის საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშაობას. ბათომში მოეწყო აზერბეიჯანელი მწერლების შეხვედრა ადგილობრივ მწერლებთან.

აჭარისტანის ეკონომიურმა და კულტურულმა აღორძინებამ ამ სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გუშინ აზერბეიჯანელმა მწერლებმა ხამიდ ვურგუნმა, ალი ნაზიმმა, სულეიმან რუსტამმა და მამედ რაგიმმა დაათვალიერეს ხელოვნების მუზეუმი, ყოფ. მეტეხის ციხე, სადაც დაწვრილებით გაეცნენ ციხის რეკონსტრუქციის გეგმას.

სტუმრები იყვნენ იმ კამერებში, რომლებშიაც ისხდნენ ამხ. ლ. კეცხოველი, ფ. მახარაძე, კამო და სხვა რევოლუციონერები.

—o—

შემთხვევები

● **ავტომობილის ავარია.** კოჯრის გზატკეცილზე გადაბრუნდა რაიკოოპკავშირის საბარგო ავტომანქანა № 9—25 (შოფერი შატბერაშვილი), რომელიც აკრძალული სისწრაფით მიდიოდა. შოფერის თანაშემწე ყურაშვილი მძიმედ დაშავდა. მანქანა დაზიანდა. შოფერი დაპატიმრებულია.

● **გაუფრთხილებელი სვლა.** ლენინის ქ. ავტომანქანამ № 17-43, რომელსაც მართავდა შოფერი დ. ზ. მამაცაშვილი, დაშავა მოქ. შ. ი. მინასოვი. შოფერი შეიპყრეს.

● **უბედური შემთხვევა.** პასტერის ქ. № 10 სახლის ეზოში 8 წლის ბავშვმა მ. გ. ტოკარევმა იპოვნა ხელით სასროლი ყუმბარის დეტონატორი, ყუმბარა ქვის დარტყმით აფეთქდა. ბავშვი დაიჭრა.

● **ხულიგნობა.** დავითაშვილის ქუჩაზე სიმთვრალის დროს ჩხუბისათვის შეიპყრეს ა. გ. გრიგორიანი (ა.-კ. ფედერაციის ქ. 9) და ს. მ. ისაკოვი (მუხრანის ქ. 2).

● **დიდუბის რაიონში** მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო 27 წლის ს. ა. პაპიაშვილი (საბჭოს შესახ. № 2).

● **ფანჯრიდან გადმოვარდნა.** რიყის ქ. № 2, მესამე სართულის ფანჯრიდან შემთხვევით გადმოვარდა სახ. უნივერსიტეტის მუშფაკის სტუდენტი ა. ნ. ქვანია (ობოლაძის ქ. № 13) დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს.

—o—

მწერალთა კავშირში

დღეს, საღამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) მწერალი იოსებ ტატიშვილი წაიკითხავს თავის ახალ მოთხრობას. მწერალთა აქტივის დასწრება სავალდებულოა.

—o—

გასწორება

ჩვენი გაზეთის 22 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო ინფორმაცია ტფილისის პლენუმის შესახებ. ამ ინფორმაციის მეორე აბზაცში სხვათა შორის ნათქვამია, რომ მშენებელ მუშათა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე, იმის მაგიერად, რომ წაახალისოს კალიაევის აღმშენების ფრიადოსანი და დამკვრელი მუშები, მოხსნით ემუქრება ყველას, ვინც რაიმე საყვედურს გაუბედავს.

რედაქციამ გამორკვია, რომ ეს ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერება. მშენებელ მუშათა კავშირის თავმჯდომარე პირიქით ყოველმხრივ უწყობს ხელს და ახალისებს დამკვრელ და ფრიადოსან მუშებს

—o—

პარტკალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. გრიგოლ ფილიპეს-ძე მხეიძეს დღეს, 27 ივნისს, გამოცხადდეს ც. კ-ის შენობაში (ოთახი № 21) ამხ. ლ. ჩიხლაძესთან.

— ორჯონიკიძის სახ. პარტრაიკომი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 ს. რაიკომის სხდომების დარბაზში შესდგება მასობრივი კონსულტაცია პარტიის ისტორიაზე, რაიონული პარტაქტივის და პარტგანათლების ქსელის მსმენელთათვის.

[illegible]

საქფილჰარმონიის ფილიალი (ყ. სტილი)

27-ს

ჰერც ცომიკის კონცერტი

როიალთან რ აგ ო ვ ს კ ა ი ა.

დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

საქფილჰარმონიის ცენტრ. მოედანი (პლეხ. პრ. 123)

27 ივნისი მ უ ზ ი კ ა - ჰ ო ლ ლ ი

ლეონიდ უტიოსოვი

ბალში ცეკვა კოსტელსკაიას ხელმძღვანელობით.

ჯაზი შმუკლერის და გაგოვის ხელმძღვანელობით.

შინ. საქ. სახ კომისარიატის სასულე ორკესტრი რატუშნიაკის ხელმძღვანელობით.

საქფილჰარმ. მე-2 ფილიალი წით. არმ. სახლი ბაღი

გახსნა 29—30-ს

ესტრადის საღამო

საბჭოთა სიმღერათა ცნობილი შემსრულებელი ტატიანა ბუკალცევა.

სტილიზებული ცეკვა სპოკოინსკაია.

რომა ნსები და სიმღერები ნ. ა. ნიკოლსკი.

[illegible] დასაწ. საღ. 9 საათზე.

ექიმი

ვ. ფ. ოთხმეზური

ქირურგიული სნეულებანი

ავადმყ. მიღება საღ. 5—7-მდე. ლენინგრადის № 7ქ. 6543 5-3

ექიმი

ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, და საღამოს $6^1/_2$—$8^1/_2$ საათ. მიუსამართო კამოს ქუჩა № 72 (ალექსანდროვის) სავადმყ. პირ დაპირ

ექიმი

მ. მ. სახნიაშვილი

კანი, ვენერიული, სიფილისი. გადავიდა ლიბკნეხტის შესახვევი № 10 (ყოფ. კურსკის) გრიბოედოვის ქ. № 30-ში. 5—8 ს. საღ. ტელ. №3-44-16.

გამოვიდა და ურიგდება ხელის მომწერლებს

ჟურნალი „ბოლშევიკი" № 5

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ამხ. სტალინის სიტყვა წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე;
2. სოციალისტური საზოგადოების ახალი ლოზუნგი;
3. ამხ. ლ. ბერიას გამოსვლა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის III პლენუმზე;
4. ს. გოდაბრელიძე—1935 წლის სამეურნეო ამოცანები;
5. მ. ცინცაძე—ციტრუსების განვითარების ბოლშევიკური პროგრამა.

რაიონული პრესა.

6. რ. კერესელიძე—გავაძლიეროთ ბრძოლა რაიონული გაზეთების მუშაობის გარდასაქმნელად.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

7. ი. მელქაძე—„მარქსიზმ-ლენინიზმი ომისა და არმიის შესახებ".

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში.

8. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მესამე პლენუმის დადგენილებები.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი კომედია ხამი ამხანაგი
დამკვრელი (საზაფხ. სახამთრო) 6-30, 8-30. 10-30	მხატვრული ფილმი ჯონის პირველი სიყვარული
ტემპი (საზაფხ.) ხმოვანი 9, 11	დიდების მე-2 კვირა ახალი ხმოვანი სურათი პეტრე ვინოგრადოვის კერძო ცხოვრება
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	უკანასკნელი დღე მხატვრ. ხმოვ. კომედია ცხარე დღეები
ეთერი (საზაფხ.) 9. 10-30	უკანასკნელი დღე განწირულნი—2 სერია
„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	საზამთ.—ხმოვ. სურ. მფრინავები საზაფხ.—ფიჭვები შრიალებენ
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30.	დახეული ფეხსაცმელები

28 ივნისიდან გრძელდება მიღება უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელ ჯგუფებში.

ჩაწერა ყოველდღე საღ. 7—10 ს. ამხ. ძაგნიძესთან (კალინინის ქ. № 51 რკ. სკ. III სართული) და დილის 10—2 ს. ამხ. გველესიანთან (ბელიკის ქ. № 4) 8717

იხსნება უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის

მოსამზადებელი კურსები

მეცადინეობა დაიწყება პირველ ივლისიდან.

პირობების გაგება ბელიკის № 4—მასწ. გოგიბერიძესთან დილის 10 ს-დან 1 ს-დე საღ. 7 ს-დან 10 ს-დე. 8723

27 ივნისს საღამოს 7 საათზე, პლეხანოვის სახ. კლუბში შესდგება

(ლენრაიონის) 1913 წელში დაბადებულ წვევამდელთა კონფერენცია

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) საერთაშორისო მდგომარეობა და მორიგი გაწვევის ამოცანები.
2) მორიგ გაწვევისათვის მოსამზადებელ მუშაობის მიმდინარეობა.
3) დამკვრელ წვევამდელთა დაჯილდოება.

ლენრაიონის წვევამდელთა დასწრება სავალდებულოა. მოწვეულნი არიან აგრეთვე ყ. დაწესებულებების სამკუთხედები.

8724 ლენრაისაბჭო.

ტფილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის ა-წ. ივნისის 19-ის დადგენილების საფუძველზე—ტფილისის საბჭოს სისტემაში შემავალი ხე-ტყის დამზადების ტრესტი

ლიკვიდირებულია.

პრეტენზიების მიღების უკანასკნელ ვადათ დაწესებულია ა-წ. ივლისის 10 ამის შემდეგ შემოტანილი პრეტენზია არ განიხილება. პრეტენზიების მიღება სწარმოებს ტფილისის საქალაქო საბჭოს შენობა № 79 ოთახში.

8726 ლიკვიდკომი.

ქ. ტფილისის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია ამით აცხადებს, რომ ის ა/წლის 30 ივნისს დილის 10 საათზე სადგურ რიონში წყლის პირას და 1 ივლისს დილის 10 საათზე ქ. ონში ტფილისის საბჭოს ხე-ტყის დამამზადებელ პუნქტებში

საჯარო ვაჭრობით გაყიდის

ტფილისის საბჭოს ხე-ტყის დამზადებულ ტრესტის ქონებას: სად. რიონში 134 მორს წყლიან ჯიშისას და ონში 2000 კ. მ. იმავე ჯიშის მორს შეფასებულს სულ 50 500 მან. და გაიყიდება საქარბიტრაჟის მიერ ა/წლის 7 ივნისს № 3/522 გაცემულ ბრძანებისა.

8721 სასამართლოს აღმასრულებელი იზორია.

რუსთაველის თეატრი

სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით

სეზონი 1935-36 წ.

რუსთაველის თეატრის დირექციის მიერ

ორგანიზებული მაყურებლის უკეთ მომსახურების მიზნით,

1935-36 წ. წ. სეზონში შემოღებულია

სააბონემენტო სისტემის

ორი შემდეგი სახე:

1. მუდმივი ადგილები—დამკვრელთა და წარჩინებულთათვის საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ შესაძენად.
2. სახელობითი აბონემენტები—ცალკეული დაწესებულებებისათვის.

განმარტება:

დამკვრელთა და წარჩინებულთა მუდმივი ადგილები გამოიშვება მთელი სეზონის განმავლობაში 200 წარმოდგენაზე დასასწრებლად შეღავათიან პირობებში.

სახელობითი აბონემენტები გამოიშვება ცალკეულ საწარმო-დაწესებულებათათვის.

კოლექტიური აბონენტი—საწარმო-დაწესებულება თავისი მუშა-მოსამსახურეთათვის მიიღებს შემდეგი სახის შეღავათებს:

1. სახელობითი აბონემენტის სერია შეიცავს 10 წარმოდგენას.
2. სახელობითს აბონენტს უფლება ეძლევა თვითონვე აირჩიოს თეატრის რეპერტუარიდან პიესა 10 წარმოდგენის ფარგლებში.
3. კოლექტიურ სახელობითს აბონენტებს უფლება ეძლევათ თვითონვე აირჩიონ წარმოდგენის დღეები.
4. სახელობითს აბონენტს საწარმოს სამკუთხედის გარანტიით ეძლევა აბონემენტის საფასურის გადახდაში შეღავათი.

საბონემენტო სისტემის ახალ ფორმებთან დაკავშირებით ყოველგვარი ცნობის მიღება შეიძლება თეატრის დირექციაში ყოველდღე. ტელეფონი № 3-55-87, 3-19-63.

21 ნ. 201 დირექცია.

აქსენტი პაიჭაძე და ნინა ჩხიკვაძე, შვილით—ანზორათი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პატარა გოგონა

ამალია პაიჭაძე

გამოსვენება სამოქალაქო პანაშვიდით რკ. გზ. საავადმყოფოდან დღეს 5 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 8727

ბებია ჩესტიკო, ბაბუა ადალო და ბიძები: თეოფილე, ზაქრო, აკაკი, ნესტორი პაიჭაძეები ბიცოლები: ელიკო და ქეთო მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელ

ამალია პაიჭაძის

უდროოდ გარდაცვალებას. უფ.

მიხაკო ტულუში და ნელი დენფერი იუწყებიან ძვირფასი შვილის

ია ტულუშის

გარდაცვალებას; დაკრძალვა მოხდა 23 ივნისს სოფ. არჩეულში. უფ

შვილები: აპოლლონ, დათიკო; რძლები: ვერა, ნინა, შვილიშვილები: თეიმურაზ, რუსუდანი, მარიკა, გიგა ლორთქიფანიძენი მწუხარებით აუწყებენ

მართა ტარიელის ასული

თავდგირიძე-ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 27 ივნისს, საღ. 6 საათზე, მლეთის შესახვევი № 5. 8722

ექიმი ვასილ მაჭავარიანი შვილით ოთარით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი სიდედრის

ეკატერინე ნიკოლაევას

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ქუთაისში. ნ. 203

დამწუხრებული ქმარი იგორ, მშობლები: ნინო, დიმიტრი წერეთლები დისშვილი თამარა გაჩეჩილაძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 30 ივნისს 5 ს. დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი

ლიდა იოსების ასულ წერეთლის

ხსოვნის აღსანიშნავად. 8725

გულდამწვარი ბიძია ვანო, ბიცოლა ლუბა, ბიძაშვილები: ქეთინო და თამარი მახვილაძეები იუწყებიან საყვარელ

ვენერა მახვილაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ქ. ქუთაისში. უფ.

შვილები: აპოლონ, დათიკო, რძლები: ვერა, ნინო, შვილები: თეიმურაზ, რუსუდანი, მარიკა, გიგა ლორთქიფანიძენი იუწყებიან საყვარელ

მართა ტარიელის ასული

თავდგირიძე-ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 ივნისს 6 ს. სამოქ. პანაშვიდი 6 ნახ. საათზე მლეთის შესახ. № 5. 8715

შვილები: ალექსანდრე, გიორგი, მარო და ლიზა, რძალი ელენე და შვილიშვილები ნიკოლაევები იუწყებიან საყვარელ

ეკატერინე ნიკოლაევას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 ივნისს, ქუთაისში. ნ. 202

დედა მინადორა, შვილები: დომენტი, შალიკო, ლადო, გიორგი, ელენე რუხაძეები, სიძე კოწია ხარაბაძე იუწყებიან დაუვიწყარ

მართა თავდგირიძე-ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მლეთის შესახვევი № 5, 27 ივნისს 6 ს. ვერის სასაფლაოზე. 8719

განსახკომის თანამშრომლები: ვ. ქობულია დემურია, ს. ფანცხავა, ბოკუჩავა, მდივანი, დ. კანდელაკი, ჩხეიძე, კეკელიძე, ლებანიძე, გოცირიძე, ბახტაძე, კუხალეიშვილი, სიგუა, ყურაშვილი, პატარაია, კეკელიძე უთანაგრძნობს ულხადებენ ამხ. მიშა გაბისონიას მისი მამის

კირილეს

გარდაცვალების გამო. 8697

უახლოესი მეგობრები: ვ. ჩახავა, დ. გორიტაშვილი, შ. ქავთარაძე, გ. თალაქვაძე, ქ. გოცირიძე, მ. მალიშკოვა, ა. კოჩარიანი, მარკაროვი, ლატატია, კეჩაკმაძე, და ი. ვოლკოვი იზიარებენ ამხ. იასონ გაბისონიას მწუხარებას მისი მამის

კირილე გაგეჭკორის

გარდაცვალების გამო. 8695

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 8—62—26, რედაქტორის მოადგილის 8—63—08, პასუხისმგებელი მდივნის 8—08—67, სამდივნოს 8—06—38, მასობრივი განყოფილების 8—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 8—57—61, სამრეწველო განყოფილების—8—73—40, სტამბის 8—27—04, გამომცემლობის—8—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ 9437